გილოცავთ შობა-ახალ წელს!

საერთო გაზეთი

№47 (458) • 27 დეკემბერი, 2017წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

დედაშვილობის საკითხი, ანუ გამოვაცხადოთ 2018 წელი საქართველოს წლად!

უჩემოდ ჰყავის მზესუმ-ზირები?



მზესუმზირა წერეთლის დუენდეა...

რა ხდებოდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე 2017 წელს?

ნიკანორ მელიას გავლით მთელი „ნაციონალური მოძრაობის" კეთილებამდე...

რა პროგნოზებს აკეთებენ წინასწარმეტყველები 2018 წლის შესახებ?

როგორ მოვიპოვოთ ყვითელი ძაღლის კეთილგანწყობა?

რისი გაკეთება არ შეიძლება საახალწლო დღეებში

„საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

დედაშვილობის საკითხი, ანუ გამოვაცხადოთ 2018 წელი საქართველოს წლად!

მეჯი საქართველო საქართველოში!

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი, 2018 წელი, საქართველოსთვის უფრო წარმატებული, უფრო ბედნიერი, უფრო საინტერესო წელი იქნება, ვიდრე 2017 წელი იყო.

კარგად ვიცი, არ გვაქვს მაინცდამაინც დალხენილი ყოფა, მაგრამ არა მგონია, იმ ევროპელ კაცზე უარესად ვიყოთ, რომელიც ჩვენთან შედარებით, მაძღრად და მდიდრულად კი ცხოვრობს, მაგრამ, სამაგიეროდ, მტერი ჩაუსახლდა სახლში და არა მარტო ცოლ-შვილის, არამედ მთელი ევროპის გაბახებით და გაუპატიურებით ემუქრება.

ამიტომაც ვამბობ, მიუხედავად იმისა, რომ არ გვილხინს, მაინც არაფერი გვჭირს ისეთი, რომ ვიღაცის გვშურდეს და ვიღაცის ბედნიერება გვეხარბებოდეს.

ჩვენ აუცილებლად დავძლევთ ამ სიდუხჭირეს და ყოფით პრობლემებს, ოღონდ მთავარია, შევინარჩუნოთ ჩვენი სახე, ჩვენი თავისთავადობა და განუმეორებლობა, რის გარეშეც არაფერს არ აქვს ფასი, რის გარეშეც საერთოდ არ აქვს აზრი და მნიშვნელობა ჩვენს არსებობას ამ მზისქვეშეთში.

ჩვენ ხშირად ვართ ხოლმე გაოცებულნი საკუთარი თავით და გვიკვირს, იმ დროს, როცა ერები და სახელმწიფოები პირწმინდად აღიგავნენ პირისაგან მიწისა, რა ძალამ გადაგვარჩინა, რა ძალამ გაგვაძლებინა, რომ აქამდე მოგვეტანა სული და სხეული?

რამ გადაგვარჩინა და იმან, რომ ქართველი კაცი იმ საყრდენზე და იმ ხერხემალზეა დაშენებული, რომელსაც უძველესი ქართული ცივილიზაცია ჰქვია.

ქართული ცივილიზაციაო, რომ ვთქვი, არაფერი შემშლია და არაფერი წამომცდენია — დიახ, არსებობს ქართული ცივილიზაცია, მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი საწყისი და სათავე, თუმცა ამის შესახებ ქართველებმა ძალიან ცოტა რამ, ან საერთოდ, არაფერი იციან.

მინდა მოვუწოდო საქართველოს ხელისუფლებას: 2018 წელი გამოვაცხადოთ ქართული ფენომენის, ქართული ცივილიზაციის, ქართული დამწერლობის, ქართული კულტურის, ქართული ტრადიციების, ქართული მწერლობის, ქართული ხელოვნების წლად და როგორც ქართველებს და საქართველოს, ასევე დანარჩენ მსოფლიოს გავახსენოთ და უკეთ გავაგებინოთ, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ.

თუ ეს გაკეთდება, მერწმუნეთ, ეს ნიშნავს მეტ ინვესტიციას ქვეყანაში, მეტ ტურისტს, მეტ შემოსავალს, ეკონომიკის განვითარების მეტ პერსპექტივას და, რაც მთავარია, მეტ პატივისცემას, მეტ რიდსა და კრძალვას საერთაშორისო თანამეგობრობისგან, რომლებიც ხან რას გვასწავლიან და ხან რას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ახლად მოვლენილ მასწავლებლებზე საუკუნეებით ადრე ვიცოდით.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქართულ ტელეეკრანებზე ოსმალეთის იმპერიის ისტორიის ერთ-ერთი პერიოდის მაღალმხატვრულ დონეზე გადაღებული მრავალსერიიანი ფილმი „დიდებული საუკუნე“ გადიოდა.

საქართველოსაც მრავლად ჰქონია დიდებული საუკუნეები, მაგრამ ამ საუკუნეთა შესახებ ფილმის გადაღების ინიციატივა ჯერ არავის გამოუჩენია.

გძონდეს კინემატოგრაფიისთვის ზედგამოჭრილი ისეთი მძაფრსიუჟეტიანი ისტორია, როგორიც საქართველოს აქვს, გყავდეს დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და მრავალი სხვა და არ გძონდეს ფილმები იმ ეპოქათა შესახებ, რომლებიც მათ შექმნეს და რომლებსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს, სხვა რომ არაფერი დავარქვათ, ბედოვლათობაა.

— დიდი ფული სჭირდება ამის გაკეთებას, ბატონო, ფული კი არ გვაქვსო, — შემომეპასუხება, ალბათ, რომელიმე სახელმწიფო მოხელე.

ფული იმისთვის თუ გვაქვს, რომ თვეში ორჯერ ძვირადღირებული და ძალზე მაღალანაზღაურებადი უცხოელი მომღერლები ჩამოვიყვანოთ, რომელთაგან ზოგიერთი კონცერტის დამთავრების შემდეგ უკანალს გვაჩვენებს, ფული იმისთვის არ გვაქვს, რომ საქართველო და მისი დიდებული ისტორია, მისი დრამატული თავგადასავალი მსოფლიოს გავაცნოთ?

ფული არ გვაქვს კი არა, კონცეფცია არ გვაქვს, თუ როგორ უნდა წარმოვაჩინოთ ქართული სახელმწიფო და როგორ უნდა დავუმკვიდროთ ის ღირსეული ადგილი, რომელიც მას მსოფლიოს დიდ ოჯახში უდავოდ ეკუთვნის.

კიდევ ვიმეორებ: გამოვაცხადოთ 2018 წელი საქართველოს წლად ლოზუნგით — **მეტი საქართველო საქართველოში.**

საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი მეცენატის და ქველმოქმედის წყალობით გვაქვს კულტურისა და ხელოვნების მართლაც ბრწყინვალე ცენტრი „ბლექსი არენის“ სახით, სადაც არაერთი შესანიშნავი კონცერტი ჩატარდა.

ეს ყველაფერი ძალიან კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ხომ შეიძლება ცოტა სხვა მიმართულებითაც ვიფიქროთ და „ბლექსი არენა“ ახალ „იურმალად“, ახალ „ევროვიზიად“, კავკასიის რეგიონის მთავარ მუსიკალურ ცენტრად ვაქციოთ?

განა კარგი არ იქნება, „ბლექსი არენას“ სცენაზე ყოველწლიურად თუ

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილია ქართული სატიაგრაჰას ავტორი, რომელმაც შეძლო მოთმინებით, სიყვარულით, მიმტევებლობით განეიარაღებინა ძალადობაზე, სისასტიკეზე, ანგარიშსწორებაზე ორიენტირებული უაღრესად სახიფათო და საშიში ძალა, ისე, რომ ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა.

არა ორ წელიწადში ერთხელ მაინც ჩავატაროთ დიდი მუსიკალური კონკურსი, ვთქვათ და, ასეთი სახელწოდებით „კავკასიის ორფეოსი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი კავკასიელი ძმები, როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან?

დარწმუნებული ვარ, არა მარტო მუსიკალური, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დატვირთვაც ექნება ამ პროექტს, რომელიც უდავოდ შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც კავკასიის რეგიონალური ცენტრის, რეგიონალური ლიდერის იმიჯის განმტკიცებას.

ჩვენი სწრაფვა დასავლეთისკენ, ევროკავშირისკენ, ნატოსკენ სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ იმ სივრციდან, იმ გარემოცვიდან, იმ რეალობიდან ამოვვარდეთ და გავუცხოვდეთ, სადაც ვცხოვრობთ, სადაც განგებამ მიგვიჩინა ადგილი.

დიახ, ბევრი პოლიტიკაა ამ მუსიკალურ პროექტში, მაგრამ მერე რა, ჩავდოთ ყველგან და ყველაფერში პოლიტიკა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს სასიკეთოდ წაადგება.

ყველანი ვყოფილვართ ჩვენს აგრარულ ბაზრებსა თუ ბაზრობებზე, სადაც პროდუქციის თითქმის 70 პროცენტი უცხოურია.

რამედ რომ ღირდეს ეს პროდუქცია, კიდევ ჰო, მაგრამ ეს არის უკიდურესად მდარე ხარისხის, ფაქტობრივად, უვარგისი საქონელი.

სამწუხაროდ, საქართველო უვარგისი პროდუქციის ნაგავსაყრელად იქცა, რაც ქართული ეკონომიკის განვითარებას ამუხრუჭებს და აფერხებს.

მაჰათმა განდიმ, როცა ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, ინდოელ ხალხს ასეთი თხოვნით მიმართა: თუ გინდათ გათავისუფლდეთ კოლონიზატორებისგან, არ შეიძინოთ უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქცია.

განდის დევიზს, **სატიაგრაჰა** (წინააღმდეგობა ძალადობის გარეშე, წინააღმდეგობა მშვიდობიანი გზით, წინააღმდეგობა სიყვარულით) ინდოელი ხალხი აჰყვა და სულ მალე ინდოეთმა დამოუკიდებლობა იზეიმა.

ჩვენც გვჭირდება ჩვენი ქართული სატიაგრაჰა – პატრიოტიზმზე, ჩვენი ქვეყნის პატივისცემასა და ერთგულებაზე, სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე დაფუძნებული წინააღმდეგობა, რომ დავძლიოთ ეკონომიკური ექსპანსია და ძლიერი, მდიდარი სახელმწიფო ავაშენოთ.

– ინგლისელები კი არ არიან ცუდები, ჩვენ, ინდოელები, არ ვართ სათანადოდ კარგები, – ესეც მაჰათმა განდის სიტყვებია.

მოდით, 2018 წელი გამოვაცხადოთ საქართველოს წლად, რომ უფრო კარგი ქართველები გავხდეთ, უფრო კარგი მოქალაქეები გავხდეთ, უფრო დიდი პატრიოტები გავხდეთ!

მეტი საქართველო საქართველოში!

●

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალ წელს და ყველას ბედნიერებას, წარმატებებს, ხვავსა და ბარაქას გისურვებთ.

განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით მინდა მივულოცო ეს დღესასწაული **ბატონ ბიძინა ივანიშვილს**, ადამიანს, რომლის დამსახურებაა, დღეს მშვიდობა რომ სუფევს ქვეყანაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილია ქართული სატიაგრაჰას ავტორი, რომელმაც შეძლო მოთმინებით, სიყვარულით, მიმტევებლობით განეიარაღებინა ძალადობაზე, სისასტიკეზე, ანგარიშსწორებაზე ორიენტირებული უაღრესად სახიფათო და საშიში ძალა, ისე, რომ ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა.

ბიძინა ივანიშვილი არ არის მხოლოდ ძალიან მდიდარი ადამიანი, ის არის ძალიან საინტერესო მსოფლმხედველობის პიროვნება, რომელსაც უაღრესად საინტერესო მოსაზრებები აქვს ბევრ საკითხზე, მათ შორის ადამიანზე, მის ბუნებასა და ხასიათზე, მის ურთიერთკავშირზე და ურთიერთდამოკიდებულებაზე სამყაროსთან და ა. შ.

მე მახსოვს მისი უაღრესად საყურადღებო სატელევიზიო საუბრები სხვადასხვა თემებზე, თუმცა მაშინ საზოგადოების გონება და ყურადღება ერთი კონკრეტული მიზნისკენ იყო მიმართული და ამდენად, ამ საუბრების შინაარსს და ქვეტექსტს ბევრი არ ჩაღრმავებია და მათი მნიშვნელობაც სათანადოდ არ შეფასებულა.

სხვა მრავალ საინტერესო თემათა შორის განსაკუთრებით დამამახსოვრდა თემა, რომელიც ბავშვის აღზრდასა და მის პიროვნებად ჩამოყალიბებას ეხებოდა.

ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს! – ხაზგასმულად ამბობდა ბატონი ბიძინა და იქვე ამტკიცებდა თუ რატომ და რისთვის არის ეს აუცილებელი.

ეს ფრაზა – ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს! – განსაკუთრებული სიმძაფრით და ტკივილით წამომიტივტივდება ხოლმე გონებაში, როცა მოზარდების მიერ ჩადენილ არაერთი შემზარავი დანაშაულის შესახებ ვიგებ.

ასეთი შემთხვევის დროს კიდევ უფრო მეტი სიცხადით ვგრძნობ, რა ღრმა და ყოვლისმომცველი შინაარსი დევს ამ ერთი შეხედვით ტრივიალურ და მარტივი ჭეშმარიტების შემცველ ფრაზაში: – **ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს!**

ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს და მან უნდა გადასცეს შვილს ის გამოცდილება, ის კულტურა, ფასეულობები და ღირებულებები, რაც ერს თავისი არსებობის მანძილზე დაუგროვებია.

დიახ, ბავშვი დედამ უნდა გახარდოს, ადამიანი კი მისმა მშობლიურმა ქვეყანამ, რადგან მშობლიური ქვეყანა, ანუ დედასამშობლოც დედაა...

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ“, – ბრძანა დიდმა პოეტმა. დიახ, დედა-შვილობის საკითხია ყველაფერი ის, რაზეც ამ წერილში ვილაპარაკეთ...

გაიხარეთ და გამრავლდით, მრავალ შობა-ახალ წელს დასწრებოდეთ, ქართველებო?

ვახტანგ ხარჩილავა

რა ხდებოდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე 2017 წელს?

წლევანდელი წლის პირველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაცია გახლდათ. პოლიტოლოგები აცხადებდნენ, რომ ტრამპი გახდა თეთრი სახლის ლიდერი იმაზე ნაკლები მხარდაჭერით, ვიდრე ოდესმე ჰქონია აშშ-ის რომელიმე პრეზიდენტს. ტრამპის ინაუგურაცია იმითაც იყო გამორჩეული, რომ მან მედიას შეუტია. „ომს ვაწარმოებ მედიასთან. ისინი დედამიწის ზურგზე ყველაზე უსინდისო არსებები არიან", — განაცხადა ტრამპმა. მას მხედველობაში, პირველ რიგში, ამერიკული მედია ჰქონდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტრამპს მხოლოდ მედიასთან არ მოუწევდა ბრძოლა. პრეზიდენტობის 10 თვეში ტრამპმა თავისივე დანიშნული 12 მაღალჩინოსანი ჩინოვნიკი გადაყენა თანამდებობიდან.

საშინაო პოლიტიკაში ტრამპმა წარუმატებლობები პრეზიდენტობის დაწყებისთანავე განიცადა. სწორედ ამ გარემოების გასანეიტრალებლად და საკუთარი პრესტიჟის ასამაღლებლად ტრამპის ბრძანებით დაიბომბა ფრთოსანი რაკეტებით სირიის სამთავრობო ჯარების აეროდრომი. თუმცა მისი ერთ-ერთი დაპირება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოსთან" უკომპრომისო ბრძოლა და მისი სრული განადგურება გახლდათ. ამისთვის აშშ-ისა და რუსეთის სამხედროებმა გარკვეული შეთანხმებაც დადეს — ამიტომაც აღმოჩნდა მსოფლიო საზოგადოებისთვის მოულოდნელი სირიის სამთავრობო ჯარების აეროდრომის დაბომბვა.

საინტერესო გახლდათ ის გარემოება, რომ ტრამპმა შეტევის გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით ჩინეთის ლიდერი სი ძინ პინი იმყოფებოდა. ტრამპმა ჩინელ სტუმარს დაბომბვის შესახებ ოფიციალური სადილობისას აცნობა, როდესაც დესერტად შოკოლადის ტორტს მიირთმევდნენ. მოგვიანებით ექსპერტებმა ფაქტი ნართაულ მუქარად შეაფასეს, თუმცა სტუმარს არანაირი რეაქცია არ ჰქონია და არც კომენტარი გაუკეთებია. მოგვიანებით ჩინეთის მხარემ საკმაოდ მკვეთრი განცხადება გააკეთა.

მოსკოვში ტილერსონის სტუმრობის თითქმის ერთი თვის შემდეგ სერგეი ლავროვმა განახორციელა საპასუხო ვიზიტი ვაშინგტონში. ტილერსონის შემდეგ ლავროვი დონალდ ტრამპმა მიიღო. რუსეთის ოფიციალური პირები, 2013 წლიდან მოყოლებული, არ ყოფილან თეთრ სახლში. ამჯერად შეხვედრა ოვალურ კაბინეტში შედგა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი სტუმარ-მასპინძლებმა ნაყოფიერად შეაფასეს. გავრცელებული ინფორმაციით, უნდა შექმნილიყო ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებდა რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრას დიდი ოცეულის ფარგლებში. ლავროვის ვიზიტმა ახალი ძალით ააგორა ტრამპის საწინააღმდეგო კამპანია, ამერიკული პრესა წარმოუდგენელი ჭორებით დაიხუნძლა.

ამაშობაში საფრანგეთში მეთერთმეტე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ევროპელი პოლიტოლოგები და ექსპერტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი ბინძური საარჩევნო კამპანია საფრანგეთის ისტორიაში არ ყოფილა. გამარჯვება ახალგაზრდა, 39 წლის ემანუელ მაკრონმა (რომელსაც 64 წლის ცოლი ჰყავს) მოიპოვა. პირველი ტურის შემდეგ თავის უშუალო კონკურენტს მარი ლე პენს მაკრონი მხოლოდ 1,5 პროცენტით უსწრებდა, ხოლო მეორე ტურში თითქმის 30 პროცენტით ავჯობა.

მაკრონისგან განსხვავებით, ლე პენს ჰქონდა სამოქმედო გეგმა. მისი აზრით, საფრანგეთმა უარი უნდა თქვას ევროზე და დააბრუნოს მიმოქცევაში ეროვნული ვალუტა, ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა ადგილობრივ პროდუქციას. ამის გარდა, დღემდე ლე პენი ნატოში და ევროკავშირში ყოფნას საჭიროდ არ მიიჩნევს.

პირველი ოფიციალური ვიზიტი დაონალდ ტრამპმა ევროპა-ახლო აღმოსავლეთში განახორციელა. ვოიაჟის დაწყებისას პოლიტოლოგები ამბობდნენ, რომ ტრამპი ცოტა ხნით მაინც გაეცლება ვაშინგტონის ჭაობს, რომლის ამოშრობასაც აპირებდაო. თავდაპირველად ტრამპი საუდის არაბეთს ეწვია, სადაც მართლაც გრანდიოზული დახვედრა მოუწყეს. არაბეთში ტრამპმა 280-მილიარდიანი ხელშეკრულებები გააფორმა.

საუდის არაბეთის და ისრაელის შემდეგ ტრამპი ევროპას ეწვია. ტრამპის ევროკავშირში ვიზიტის შემდეგ ევროჩინოვნიკები იმედგაცრუებული დარჩნენ, მათ ვერ მიიღეს ფინანსური დახმარების დაპირებაც კი. ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა სიცილიაზე გამართული დიდი შვიდეულის შეხვედრა.

წლევანდელი წლის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოვლენა გერმანიის ქალაქ ჰამბურგში განვითარდა. დიდი ოცეულის სამიტზე დაგეგმილი იყო დონალდ ტრამპის და ვლადიმირ პუტინის პირისპირ პირველი შეხვედრა, რომელსაც მსოფლიოს პოლიტიკოსები მოუთმენლად ელოდნენ. დიალოგი შედგა, რომელიც ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. საუბარს მხოლოდ ამერიკელი და რუსი პირველი დიპლომატები ესწრებოდნენ. ორმხრივი შეხვედრით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებისთვის ტერორიზმი და მასთან ბრძოლა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახლდათ. თუმცა პოლიტიკურ არენაზე წლეულს გაჩნდა ახალი თავსატეხი ჩრდილო კორეის სახით. წლის დასაწყისიდან დღემდე თითქმის 15-ჯერ გამოსცადეს ბალისტიკური რაკეტები. აგვისტოს მიწურულს ქვეყანაში წყალბადის ბომბი წარმატებულად გამოსცადეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას ტრამპი ჩრდილო კორეის სრული განადგურებით დაემუქრა. მსგავსი განცხადება გაეროს ტრიბუნიდან მისი არსებობის მანძილზე არც ერთ პოლიტიკოსს, მით უფრო, ქვეყნის მმართველს არ გაუკეთებია. სწორედ ამ განცხადებამ შეაშფოთა მსოფლიო. აღსანიშნავია, რომ რეგიონში საომარი ვითარების დაწყებას ეწინააღმდეგებიან იაპონიისა და სამხრეთ კორეის ლიდერები. ჩინეთი და რუსეთი ორივე ქვეყანას დიალოგისკენ მოუწოდებენ.

ტრამპის საგარეო პოლიტიკას მიმომხილველების ნაწილი დადებითად აფასებს, მაგრამ ფაქტია, რომ თავისი მოღვაწეობა მან ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციიდან აშშ-ის გამოყვანით დაიწყო. ამასთან, ამერიკის მოკავშირე თურქეთთან იმდენად დაიძაბა ურთიერთობა, რომ პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, „ამერიკა არ გვჭირდებაო". პოლიტოლოგების გაოცება გამოიწვია ტრამპის გადაწყვეტილებამ, ირანთან შეაჩეროს ბირთვული თანამშრომლობა. 2011 წელს გაეროს ჩარევით, როგორც იქნა, დაიყოლიეს ეს ქვეყანა, შეეჩერებინა ბირთვულ იარაღზე მუშაობა. ტრამპის განცხადების შემდეგ, ირანელებმა უპასუხეს, რომ მათი ქვეყანა კვლავ დაიწყებს ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობას.

ამასობაში კი რუსეთი აძლიერებს საკუთარ გავლენას მსოფლიოში. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა სახელმწიფო მეთაურების იქ განხორციელებული ოფიციალური ვიზიტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საუდის არაბეთის მეფის სალმან იბნ აბდულ-აზიზ ალ საუდის მოსკოვში სტუმრობა. საუდის არაბეთის მონარქის ვიზიტი რუსეთში ისტორიაში პირველი გახლდათ. არაბეთის დელეგაციის შემადგენლობაში ათასზე მეტი წევრი იყო, რაც ბევრის მთქმელია. ვიზიტისას გაფორმდა 15-ზე მეტი ხელშეკრულება. არაბებს განსაკუთრებით შეიარაღების შეძენა სურდათ, მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულზე აშშ-სთან გააფორმერს ხელშეკრულება იარაღის შეძენაზე.

აღსანიშნავია ასევე სოჭში გამართული რუსეთის, ირანისა და თურქეთის პრეზიდენტების სამმხრივი შეხვედრა, რომელიც უცხოელმა ჟურნალისტებმა „ახალ იალტად" მონათლეს. ამერიკულმა პრესამ აღნიშნა, რომ აშშ-მა ახლო აღმოსავლეთში პოზიციები დათმო და მაყურებლის როლში დარჩა.

გასულ კვირას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე განიხილეს იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების საკითხი. მიუხედავად ტრამპის მუქარისა, რომელი ქვეყანაც არ აღიარებს, დაფინანსებას შევუწყვეტთო, საკითხი ხმების უმრავლესობით ვერ გავიდა. პალესტინის მეთაურის მაჰმუდ აბასის განცხადებით, ტრამპის გადაწყვეტილება კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას ახლო აღმოსავლეთში,.

კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა, რომელიც გასულ კვირაას ესპანეთის კატალონიაში განვითარდა. ამომრჩეველთა აქტივობამ 82 პროცენტს გადააჭარბა, ეს მაშინ, როდესაც რაფერენდუმზე მოსახლეობის 43-მა პროცენტმა დააფიქსირა თავისი არჩევანი. არჩევნებზე ხმების უმრავლესობა — 70 ადგილი დამოუკიდებლობის მომხრე პარტიებმა მიიღეს, რახოის პარტიამ კი მხოლოდ 3 ადგილი მოიპოვა.

ვნახოთ, როგორ გასრულდება წლევანდელი წელი. იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი 2018 მშვიდობიანი იქნება საქართველოსთვის, და საერთოდ, მსოფლიოსთვისაც, თუმცა ისეთი ვითარებაა სამყაროში, როდის აფეთქდება „ბომბი" სახელად ომი, არავინ იცის...

გია ბურდული
551 71 27 07

ნიკანორ მელიას გავლით მთელი „ნაციონალური მოძრაობის“ კეთილებამდე...

რატომ აიწია გიორგი კვირიკაშვილის რეიტინგმა მელიასთვის კეთილების მოკითხვის შემდეგ?

ენაჭარტალა ბიბილაშვილმა კვირიკაშვილისა და მელიას კონფლიქტის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა – გიორგი კვირიკაშვილმა „მასკა“ ჩამოიხსნაო.

დიახ, კვირიკაშვილმა „მასკა“ ჩამოიხსნა და აღმოჩნდა, რომ ის ქართველი კაცია, რომელიც, როცა მას შეურაცხყოფაას აყენებენ და მის ღირსებას ცუდად ეხებიან, რეაგირებს, როგორც ქართველი კაცი.

მან იმ წუთას ბევრისთვის სრულიად გამაოგნებელი და გაუგებარი ნაბიჯი გადადგა, როცა, ფაქტობრივად, სასწორზე შეაგდო თავისი პოლიტიკური კარიერა, ოღონდ არ დაეთმო მთავარი – ღირსება.

ჩვენს ღირსებადაკარგულ დროში, როცა ადამიანები ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ შეინარჩუნონ თუნდაც უმნიშვნელო პოსტი და ამისთვის მზად არიან, თავზე ნაცარი წაიყარონ, კვირიკაშვილის საქციელი შეიძლება იმ ადამიანის ზნეობრივ გმირობადაც კი შევაფასოთ, რომელსაც პრემიერ-მინისტრის სავარძელიც კი არ ულირს იმად, რომ პროვოკატორის მიერ საჯაროდ მიყენებული შეურაცხყოფა გადაყლაპოს.

ქვეყნისთვის სახიფათონი და საშიშნი სკამის მონები არიან, რომლებიც ყველას და ყველაფერს, მათ შორის საკუთარ ქვეყანასაც, თვალისდაუხამხამებლად გაწირავენ სკამის შესანარჩუნებლად.

●

ამ ინციდენტის შემდეგ ერთი უცნაური ამბავი მოხდა: გიორგი კვირიკაშვილის რეიტინგი მკვეთრად გაიზარდა.

მთელი კვირაა ამ ინციდენტზე საუბრობენ პოლიტიკოსები, ექსპერტები,. ანალიტიკოსები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, მაგრამ არავის უცდია, საფუძვლიანად და დამაჯერებლად აეხსნა, რამ გამოიწვია კვირიკაშვილის რეიტინგის უეცარი ამაღლება.

გინებების, თან მაღალ მხატვრულ დონეზე გაფორმებული ცხრა თუ ათსართულიანი გინებების მეტი რა გვსმენია, გამომდინარე აქედან, არა გვგონია, კვირიკაშვილის სამსიტყვიან ფრაზას მრავლისმნახველი ქართული აუდიტორია რაიმეთი განეცვიფრებინა და იმ დონეზე მოეყვანა აღტაცებაში, რომ მყისვე კვირიკაშვილის მხარეზე დამდგარიყო.

რაშია საქმე და რამ გამოიწვია საზოგადოების ამგვარი, ერთი შეხედვით, ლოგიკურად აუხსნელი რეაქცია?

რამ გამოიწვია და იმან, რომ კვირიკაშვილმა ამ სამსიტყვიანი ფრაზით არა მხოლოდ ერთ ნიკანორ მელიას, არამედ მელიას გავლით მთელ „ნაციონალურ მოძრაობას“ მოუკითხა კეთილები.

აი, ეს არის ის „საიდუმლო“, რამაც კვირიკაშვილის რეიტინგის მოულოდნელი ზრდა გამოიწვია.

როგორც ჩანს, საზოგადოებაში ჯერ კიდევ დიდია მოთხოვნილება, „ნაცმოძრაობას“ ისე მოეკითხოს კეთილები, როგორც ისინი ამას იმსახურებენ?

და, აი, უცებ, ქვეყნის მთავრობის მეთაური გამოდის, მკვეთრ ფორმებში გაკეთებული „განცხადებებით“, რომ საზოგადოების ეს აქამდე შეუსრულებელი შეკვეთა, შესრულდება, რაც, ცხადია, ადამიანებში რწმენას და იმედს აჩენს, რომ „ქართული ოცნება“, ბოლოს და ბოლოს, დანაპირებ სიტყვას საქმედ აქცევს და სამართლიანობა იზეიმებს.

ამ სიტუაციამ ერთი ძველი ანეგდოტი გამახსენა.

ქმარი „ტიოშას“ თანდასწრებით ცოლს აგინებს: ია ტვოიუ მამუ იბ.ლ, ია ტვაიუ მამუ იბ.ლ...

„ტიოშა“ უსმენს, უსმენს და ბოლოს ნაღვლიანი ხმით ამოიკვნესებს: დარაგოი ზიატ, ტი ვსიო აბეშაეშ და აბეშაეშ...

„ქართული ოცნებაც“ ვსიო აბეშაეტ და აბეშაეტ, ხოლო „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტური ბანდა ისევ თავზე გვაზის და ნოტაციებს გვიკითხავს, თუმცა პრემიერმა დაგვაიმედა, რომ საქართველოს და ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელ ამ ბოროტ ძალას საკადრისად მოეკითხება.

გიორგი კვირიკაშვილმა ქართველი ხალხის სათქმელი თქვა, მისი სურვილი გააცხადა და ამიტომაც დაიმსახურა ქართველი ხალხის სიმპატიები და მხარდაჭერა.

ახლა დრო გვაჩვენებს, არის თუ არა ბატონი გიორგი კვირიკაშვილი სიტყვის კაცი, თუ ეს მოულოდნელი გაბრწყინება და გამონათება ისევ მიინავლება და ჩაიფერფლება კოაბიტაციის ბნელ და პირქუშ ღამეში.

●

ნიკანორ მელიამ, სანამ პარლამენტში პროვოკაციას მოაწყობდა, კვირიკაშვილისა და „უცნობის“ დაპირისპირებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარში ჟურნალისტებს განუცხადა: კვირიკაშვილის ნაცვლად მრცხვენიაო.

საინტერესოა, რატომ, რცხვენია მელიას კვირიკაშვილის ნაცვლად და რატომ არ რცხვენია, ვთქვათ და, პოლიტიკურ ბომჟად ქცეული სააკაშვილის ნაცვლად, ან რატომ არ რცხვენია იმ პარტიის მიერ ჩადენილი უამრავი სამარცხვინო საქციელის გამო, რომლის ერთ-ერთ ლიდერად ახლა თავად გვევლინება?

ის მელია და კიდევ სხვა ტურები და მელიები „ნაციონალური მოძრაობიდან“, „ევროპული საქართველოდან“ და „ნაცების“ პოლიტიკური სპერმით შეკოწიწებული სხვა წვრილ-წვრილი დაჯგუფებებიდან, დღემდე სულში აფურთხებენ და უდიდეს შეურაცხყოფას აყენებენ ქართველს ხალხს, როცა შემზარავი უტიფრობით ცდილობენ მის დარწმუნებას იმაში, თითქოს სისხლიანი მმართველობის ცხრა წელი თითქოს არც ყოფილა და თუ მაინც იყო რაღაც-რაღაცები, ეს იყო შეცდომები და გადაცდომები და არა დანაშაული.

აი, ამას ღაღადებს დღეს „ნაცმოძრაობა“, ნიკა მელიას კი არ რცხვენია, რომ ამ პარტიის თავკაცია და იმის ნაცვლად, რომ საკუთარი თავის რცხვენოდეს, კვირიკაშვილის გამო რცხვენია.

– ხუთი წელი გავიდა იმ ცხრა წლის შემდეგ თქვენ კი ისევ იმ წარსულს იხსენებთო, – გვსასყვედურობენ „ნაცები“.

ხუთი წელი კი არა, ხუთჯერ ხუთი წელი რომ გავიდეს, თქვენ მაინც მოგიწევთ სამსჯავროს წინაშე წარდგომა, რადგან იმ დანაშაულებზე, რაც თქვენ გაქვთ ჩადენილი, ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს.

თქვენც ისე მოგიწევთ გასამართლება, როგორც პინოჩეტი გაასამართლეს 40 წლის შემდეგ, როგორც ნაცისტ დამნაშავეებს ასამართლებდნენ 50 თუ 60 წლის შემდეგ. ეს აუცილებლად ასე მოხდება! ეს გარდაუვალია, მაგრამ მანამდე რა ვქნათ და როგორ შევეგუოთ იმ ცინიზმს, იმ აბუჩად აგდებას, იმ დამცირებას და გაბითურებას, რასაც „ნაციონალების“ ყოველი გამოჩენისას გრძნობს ყველა თავმოყვარე და გონიერი ადამიანი?

არ არის ეს ძალადობა და ფსიქოლოგიური ტერორი ადამიანებზე?

შექმნილი სადო-მაზოხისტური სიტუაციის მთავარი მიზეზი, ალბათ, მაინც ის არის, რომ, მიუხედავად უამრავი მტკიცებულებისა, მიუხედავად უამრავი დადასტურებული ფაქტისა, მაინც არ მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი ფაშისტური რეჟიმის სრულყოფილი და სრულფასოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება.

თუმცა ამ ქვეყანაში სხვა რა შეფასებულა, რომ ეს შეფასებულიყო?

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლიდან 2012 წლამდე უამრავი ისეთი ფაქტი მოხდა, რომლებიც ჩვეულებრივი კრიმინალის ფარგლებს სცილდება, არაფერი შესწავლილა, არაფერი გამოკვლეულა და არც ერთი მოწვევიას პარლამენტს ერთი გვერდის მოცულობის დასკვნაც კი არ დაუდია, რა ხდებოდა ქვეყანაში მთელი ოცდაერთი წლის განმავლობაში.

უშველის კი კეთილების ერთწუთიანი მოკითხვა ამ საქმეს, თუ ხელისუფლებამ იმაზე უნდა იფიქროს, რომ ბოლოს და ბოლოს შედგეს ქართული ნიურნბერგის პროცესი, რომელიც, თუ შედგება, აუცილებლად დამთავრდება არა მხოლოდ კონკრეტული დამნაშავეების დასჯით, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ფაშისტურ-კრიმინალური დაჯგუფების აკრძალვით და პოლიტიკური სივრციდან მისი სამუდამო გაძევებით.

გიორგი გამეზარდაშვილი



უჩვეულოდ ჰყვავის მზესუმზირები?

მზესუმზირა წერეთლის დუენდეა...

წერეთელი ჩემთვის, პირველ რიგში, ფერმწერია. ყოვლისშემძლე კოლორისტი, ფერწერული გრანდიოზულობით... წერეთელთან ყველაფერი ფერწერით იწყება, ყველაფრის სათავე ფერწერაა... კრეატიული სივრცე მოედინება ფერადი, ადიდებულ მდინარესავით...

წერეთლის სამყაროს სიყვარული განაგებს...

წერეთელი რენესანსული მრავალმხრივობის ბეჭდითაა აღბეჭდილი. სინერგიული პიროვნება – ჰარმონიულს ასე მიახლოებული ადამიანი, თავისთავში აერთიანებს ნოვატორს, მოქანდაკეს, ფერმწერს, არქიტექტორს, დიზაინერს, ფრესკის ოსტატს, გრაფიკოსს, არტ-მენეჯერს, დესპანს, განმანათლებელს, ესთეტს, მკურნალს და სხვა მრავალს – რელიგიის, ხელოვნების, ისტორიის, მეცნიერების დარგებმა ერთად მოიყარეს თავი ერთ ადამიანში... ადამიანში, რომელშიც გულისა და გონების სინთეზია, ანუ მგრძნობიარე გული და აი, ასეთია წერეთელი, ხელოვნების ენით მოლაპარაკე, ვინც ხელოვნების სიტყვას აწვდის კაცობრიობას.



„დღეს ხელოვნება ისეთივე დასაცავია, როგორც დედამიწა, როგორც კოსმოსი, როგორც კაცობრიობა... ადამიანი უნდა ამაღლდეს საკუთარ თავზე – ადამიანად ქცევის ხელოვნება ყველა ადამიანისთვის უნდა გახდეს სჯულის კანონი...“ (წერეთელი).

ამიტომაც **„ახალი ადამიანის დაბადების“** იდეა მის შემოქმედებაში ყველგან ლიდერობს.

მოწოდებით ნოვატორი, სულით არისტოკრატი, გემოვნებით არტისტი, ბუნებით პოეტი – ყოველთვის ეძებს ფერს და თავისუფლებას.

წერეთელს აქვს ფერისა და კომპოზიციის იშვიათი შეგრძნება. იგი ხედავს უფრო დიდ მოცულობას, დიდი ფორმას, დიდ სიბრტყეს. აქვს ფიროსმანივით ძლიერი განზოგადების უჩვეულო უნარი – პიკასომაც რომ შეამჩნია. წერეთლის ხელის მოძრაობა ავტომატიზირებამდეა მისული – სპონტანურია. ის ფლობს ყველა ფერს, მისი პალიტრა დღესასწაულია, უჩვეულო, მგზნებარე, ცეცხლოვანი, უხვი, ნაჯერი ფერები. პასტოზური, რელიეფური ფერწერა, ხატვის მანერა ორიგინალური. მან ფოლკლორის ნაღვერდლებით ააგიზგიზა ფერწერა, ყვავილებით და ხილით წალეკა მდელოები...

ფერი ქმნის სურათს, ფერადი ლაქების დინამიკა – ფერი მთავარია. ფერის აურატიულობა ყველაფერს მოიცავს, იმდენად მკვეთრია პალიტრაზე გადმოსული წერეთლის ტემპერამენტი, მისი ენერგია ყველაფერს ედება. ყველა საგანი, ყველა პერსონაჟი ფერად ლაქად აღიქმება და იქმნება ფორმისა და სივრცის დიალოგი.

მონასმის ფართო, რელიეფური მანერა ტიციანის ფუნჯის გეგონებათ, როცა მისი შავი ფერის მოქნილობას და დინამიკას ვხედავთ.

უდიდესი ფერმწერი XX–XXI საუკუნეების კონტექსტში. მას აქვს ძალმოსილი ხატები – რომანტიკული გმირის მუტაცია – ადამიანი – მონოლითი, **„კავკასიონის დევივით“** რომ ამოიზრდება მკვეთრი ფერადი ლაქების კონტრასტით შექმნილ ფორმასთან კონფლიქტში, ფორმაში, რომელშიც შედნობას იწყებს ფაქტურა, პერსონაჟი, ფონი. აქ ყოველთვის ისმის ქართული პატრიარქალური ლირიკული ხმა... ეს დიდებული ხატებია, ხშირად „ქალამნებით“...

წერეთელთან აღმოსავლური დეკორატიულობა მოქცეულია დასავლურ დინამიკაში.

საკუთარი, თვითმყოფადი კონცეფციით ქმნის ფორმის დეფორმირებას, თუმცა კონსტრუქციას არ აყალიბებს. მას აქვს თანდაყოლილი, ინტუიტური აღქმა თანამედროვეობის, ახლის ასეთი ხედვა იშვიათობაა – ეს ინტუიციაა, რომელსაც ვერ ისწავლი.

წერეთელი სიბრტყეზე ფერთა ლაქების განლაგების პრინციპით თვით გამოვლინდება. მრავალი წელი სწავლობდა ფერის კანონებს, მან ფერწერა გაამდიდრა ახალი ხერხებით, დაეუფლა მთლიანად ფერის გამომხატველობას და გამოიმუშავა ძლიერი კომპენსატორული ელემენტი, **ფერადი ლაქების დინამიზმი**. ყველა პერსონაჟი, ყვავილი, საგანი თუ დეტალი ფერად ლაქად აღიქმება და ასე იქმნება ფორმისა და სივრცის დიალოგი. ფერთა ლაქები ქმნის სურათს...

წერეთელთან ბინარულ სიბრტყობრივ ხატს აქვს ისეთი ესთეტიკური ფაქტორები, რასაც ვერავითარი სიმბოლური მოქმედების შოუ ვერ შეცვლის. შეუცვლელია სიბრტყობრივი ხატის არამატერიალურობა, ასტრალურობა. წერეთლის ფერწერა იმპროვიზაციული ბუნებისაა. იმპროვიზაციის საშუალებით ისეთი განცდები ამოაქვს შინაგანი სამყაროდან, რომელთაც გონებით ვერ დაგეგმავს, ვერ გაითვალისწინებს. იმპროვიზაციის საშუალებით თავის თავზე ისეთ რამეს გვამცნობს, რასაც ცნობიერება ვერ ჩაწვდება – სწორედ ესაა წერეთლის ფერწერის შეუცვლელი ღირებულება.

„გინდათ გითხრათ, ჩემი აზრით, რა თავისებურება განსაზღვრავს ნამდვილ ხელოვნებას? – ჰკითხა ერთხელ მოხუცმა რენუარმა თავის მომავალ ბიოგრაფს, ვალტერ პახს. – იგი უნდა იყოს აუწერელი და მიუბაძველი... ხელოვნების ნაწარმოებში მხატვარი გადმოგვცემს თავის ვნებებს, ეს დენია, რომელსაც გამოუშვებს და იზიდავს მაყურებელს თავის სამფლობელოსკენ“...

წერეთლის **„დენის“** ზემოქმედება სურათში ძალიან ძლიერია, რეაქცია ზოგჯერ შეიძლება იყოს უარყოფითიც კი, რადგანაც ძალიან ინტენსიურია. წერეთლის ფერწერა მედიატორულია, ხმოვანია, ფერების ფოიერვერკია საზეიმო ჟღერადობით. ეს თავაწყვეტილი ფერების ორგიაა. წერეთელი ბუნებით „ჯარისკაცივით“ მოწესრიგებული ადამიანია და ალბათ, ეს თვისება მისი დამხმარე ძალაა, მისი ფერებით „ორგაისტული თრობის“ მომენტში...

წერეთლის პალიტრა ამბობს: მაგარია, ძლიერია. დიდია...

მისი პალიტრა ფერთა ზეიმია. მუშაობს 20 სახეობის ფუნჯით, ყველას თავისი სახელი ჰქვია. დილა იწყება ფუნჯებთან გაბაასებით: **ჩემო ჯარისკაცებო, ჩემო მეგობრებო**...

მისი ფუნჯი ხან ფაქიზად წერს, ხან „სკულპტურულად“ ძერწავს ფორმას, ხან ტილოზე ზელს საღებავს, ხან შორიდან ტყორცნის საღებავს ტილოზე... ის მუშაობს „მაშინვე“, პირველი შთაბეჭდილებით, ერთი ამოსუნთქვით, ექსტაზურად და გგონია, თითქოს სურათი ფუნჯიდან „გადმოხტა“...

წერეთელი **„ამ დროს არის და არც არის“** – ის სპონტანურია, ის მთვარეულს ჰგავს მუშაობისას...

წერეთლის სამყარო დაუღალავ ბრუნვაშია. ის იღებს საგნებს არა როგორც ნივთებს, როგორც სხეულებს, არამედ როგორც მოვლენას – ამიტომაც ყველაფერი გამოისახება დინამიკურ ყოფიერებაში.

მისი სურათის ნახვისას ჩვენ ვხედავთ, პირველ რიგში, არა იმას, რაც არის გამოხატული, არამედ იმას, როგორ არის გამოხატული და მონაწილენი ვხდებით შემოქმედებითი პროცესის, მასთან ერთად ვღელავთ და განვიცდით. ასეთი მხატვარ-ინდივიდუალისტის ტექნიკას ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. წერეთლის ფერწერის ტექნიკა არის მისი ტემპერამენტის გამომსახველი; წერეთელს არ სურს და არ შეუძლია დაფაროს ტილოზე თავისი განცდები და ტემპერამენტი; წყნარი, მშვიდი მონასმით ის არ გამოირჩევა, პირიქით, როგორც მოფარიკავეს არ შეუძლია შეტევისას მშვიდი, გაწონასწორებული მოძრაობა, ასევეა წერეთელიც ტილოსთან. იგი ტექნიკას იცვლის რამდენჯერმე, ერთი სურათის ფარგლებშიც კი. ყოველი ფერი და საგანი, მასზე სხვადასხვა შთაბეჭდილებას ახდენს და მისი სულიერი ნოტები, რიტმი, გულისცემაც კი, საპასუხოდ მოქმედებს.

წერეთელი გარემოს ხატავს როგორც ექტენსიურად, ასევე ინტენსიურად: რაოდენობრივად და თვისობრივად... ვერ დაითვლით მის ტილოებს...

ფერთა ლაქების დინამიკა, ფერთა ლაქების სიუხვე, სიმკვეთრე და კოლორიტი წერეთელს ყველასგან განასხვავებს და პოეზიასთან ანათესავებს, სახვითი გამოსახულება სენსუალურად გრძნობადი და ინტიმური ხდება, ფერი კი ახალ პოეტურ სამყაროს აყალიბებს შემოქმედებითი გრძნობების პრიზმაში. წერეთლის მხატვრული სახე მიზნად არ ისახავს „აზრის“ გამოხატვას, ის საიდუმლო გრძნობას გადმოგვცემს, სულიერი დრამის ჩვენებას მიზნად ისახავს და სპირიტუარულ სიღრმეში იდუმალებით აღსავსე ირაციონალური მხარეების გაცხადებას. ყოფიერების დრამატიზაცია, როგორც წესი, დანახული და განცდილი არა რაციონალური სიმშვიდით, არამედ ემოციურად, ხშირად ფანტაზიის კულტს ემორჩილება და ბუნებაში ეძებს მარადიულ ფასეულობათა შეცნობასა და გააზრებას.

მას უყვარს ჯან-ღონით სავსე ქართველი ადამიანები. ძლიერი და ბეჭგანიერი გლეხი **„მიხო“**, ვაზს რომ უვლის. მოჰყავს მოსავალი, გარემო მოვლენებისადმი გულისხმიერია; ადამიანი, რომელიც ცხოვრობს და არაფრით არღვევს ტრადიციებს, მამა-პაპათა ჩვეულებებს. ის ერთგულია და ემორჩილება ბუნების კანონებს. წერეთელი არასოდეს ივიწყებს სოფლურ ყოფას, რომელიც ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. უყვარს ნაჯაფარი, გაჭაღარავებული მოხუცები, ბალაგანები, კლოუნები, ჯამბაზები, ხორციანი ქალები, საშინელი გრიმასებით, მუცლიანები, მეარღნეები და მეზურნეები, ათლეტური კუნთები – ძალის კულტი, ბაზრის გამყიდველები, ღონიერი სისხლჭარბი კისრებით და განიერი მხარ-ბეჭით, უზარმაზარი ხელებითა და ფეხებით.

ფერთა სინოყივრე და ბარაქიანობა, შექმნილი სახეების გოლიათური ხასიათი, მისი მისწრაფება ყოველივე დიდისადმი, ძვალმსხვილისადმი მას აახლოებს რენესანსულ კულტთან, ჯანმრთელ სხეულთან. მასთან ფერს, ფორმას, პლასტიკას შენარჩუნებული აქვს სიცოცხლე.

წერეთლის ფერწერის მედიატორული ენა იქმნება მუსიკასთან ერთად, სიტყვაზე მეტად მუსიკასთან ახლოს... ფერწერა ხომ მუსიკაა, რომელსაც მხატვარი ქმნის სიცოცხლის მაგიური აკორდებით. წერეთლის ფერწერა სინათლის სიმღერაა, ღრმა აკომპანიმენტით და ფერადი ლაქების თავდავიწყებული ცეკვით... და ამ დროს ფერის შინაგან დინებაში მჟღავნდება ადამიანური გამოცდილების ის არსებითი ელემენტი, რომელსაც სილამაზეს ვეძახით...

წითელი, ყვითელი, ლურჯი, შავი, მწვანე, დომინანტური ფერებია... თუმცა მის პალიტრაზე ყველა ფერია, მისი პალიტრა ფერების ზეიმია... უსასრულო... მწვანეს ყველგან აფენს... შავი – ფიროსმანივით და ტიციანივით უყვარს...

„100 პარიზული ტილო“. პარიზმა „დაახატვინა“ უჩვეულო ნატურმორტები, პარიზული სიცოცხლის და ხელოვნების აურატიულობამ.

„ბრავო, მაესტრო“ – პარიზი

ხშირად ეუბნება ამ სიტყვებს...

„და წითელი იდეალი დაარღვევს ჩემს მყუდროებას“ (ბოდლერი)...

და აი, ტილოზეა „მულა“ – განსაკუთრებული წითელი – ალისფერი, სისხლისფერი, ნარინჯის ნაერთი – ოღონდ თაფლისა და ყვავილების სურნელით, მართლაც არღვევს ტილოს მყუდროებას, რადგანაც მაგიდის ქვეშ გაწოლილი **„მულა“** ცეცხლისკენ გვიხმობს...

აქ, მზის და წითელი ფერების სიყვარული ქალის სხეულის სუბლიმატური ფორმაა და სილამაზის მაგნიტური დენივით მოედინება მნახველისკენ...

მსუყე, ნაჯერი უხვი ფერწერა...

წერეთლის ორიგინალური მანერა, უხვი, უმდიდრესი კოლორიტის სითბო და სიღრმე, ბუნებისა და ადამიანის სადიდებელი ფორმები გულწრფელად და გულითადად მჟღავნდება.

ეს არტისტული ფერწერაა. ბავშვური ხატვის ოსტატია. წერეთლის სურათი ხორცშესხმული მისწრაფებაა, მოძრაობაა, დინამიკაა – გგონია, კი არ დაუხატავს, არამედ გამოუწვევია ეს სახეები... ჯანსაღი და სისხლსავსეა არა მარტო სახეები, არამედ შინაარსიც, იდეაც და მისწრაფებაც...



რა არის ახალი მის შემოქმედებაში?ლაქების დინამიზმი, გამოსახულების ძალა, სიცოცხლის და ადამიანის აღიარება... ფორმის თვითმყოფადი, სრულყოფილი და ოსტატობით შექმნილი დეფორმაცია.

წერეთლის ფერწერეაში (და საერთოდ მის შემოქმედებაში) ხდება რაღაც იმგვარი, რაც იტალიაში მოახდინეს აღორძინების ხანის ტიტანებმა: ადამიანის ხელახლა აღმოჩენა, თამამი და სიცოცხლით სავსე ადამიანისა და არა მარგინალის, სამყაროსა და ადამიანის მთლიანობის განცდა. ზურაბ წერეთელმა თანამედროვეობაში შემოიტანა ბაროკოული მოძრავი, სისხლსავსე, კუნთოვანი სიცოცხლის ამსახველი სახეები. 2–3 მეტრი სიმაღლის ტილოები – ჰეროიკული, საზეიმო ქმნილებებია. მონუმენტალურ-დეკორატიული ხასიათი, არქიტექტორული სივრცის ორიგინალური აღქმა ნატურმორტებში...

წერეთელთან ნატურმორტი ცოცხლდება...

ნატურმორტებში ის იახლოებს მთას, მაგრამ ეს არ არის სეზანის ესტაკა. ინარჩუნებს სივრცობერივ დამოკიდებულებას – სიშორეს და სიახლოვეს. ნატურმორტს ხშირად გვაჩვენებს დამრეცი ადგილიდან. შემდეგ ნელ-ნელა ხილის უზარმაზარ მასას ანაწილებს დამრეც სიბრტყეზე, სადაც მთის ფერდობია შექმნილი – ულამაზესი, უხვი, მრავალფეროვანი ხილისგან...

და, რაც მთავარია, ნატურმორტის მასა გვაჩვენებს, რომ ფონი დაშორებულია და რახან მთები მოიცავენ სიბრტყეს, საოცარი შთაბეჭდილებაა უზარმაზარი მოცულობის. ამიტომაც აღვიქვამთ შორს... ბუნებაში ახლო და შორეული – ეს მატერიალური კატეგორიებია... წერეთელი ქმნის სამყაროს მთლიანობას. ძალიან ახლოს მდგომი და ძალიან შორეული... ტილოზე მოჩანს მხოლოდ მთის წვერი, შთამეჭდილება უზარმაზარი მოცულობისა გაგაოცებს...

ეს საკუთარი სულის ჩანაწერია...

ფერების და ხაზების დახვეწილ პროპორციებში ჩაბუდებულა ჰარმონია, სული კი სარკესავით აირეკლავს.

ყველგან ვგრძნობთ სიცოცხლის ძალას. წერეთლის ნატურმორტში ხილს – ვაშლი, ატამი, ქლიავი, ალუჩა, ალუბალი, მსხალი – მარტო სეზანისებური სიმკვრივე კი არ აქვს, ფორმის უნივერსალური მასშტაბებია, ბუნების პირველყოფილი სიუხვე; აურატიული ველების გადაკვეთა კი ათასგვარ ელფერსა და სურნელს აჩენს: ჰარმონიულს თუ დისჰარმონიულს, ცივსა თუ თბილს, ალერსიანს თუ მსუსხავს...

აქ შეგრძნებათა შიფრებია...

აენთებიან, ქრებიან, ისევ ციმციმებენ სინათლის ბილიკები...

ვხედავთ, ნატურმორტებში როგორ იზრდება გეომეტრიულად ვაზის ხე მტევნებით...

ვხედავთ, როგორ ჩამოსდის საფერავს წითელი წვენი – „ღვინო თხევადი მზეა“ (ბოდლერი)...

ვაშლი, ატამი, მსხლების სურნელიც კი მოდის, ცეცხლწაკიდებული ყვითელი მსხლების ყუნწების გეომეტრიული ნახაზი გვაოცებს... დაბინდული საფერავის მტევნების არომატი – ტილოზე სურნელების მოუხელთებელი სუბსტანცია გვიხმობს...

ვხედავთ, როგორ მოცურავს ჩვენკენ მზესუმზირა, ცეცხლივით თბილი, მზრუნველი, სინათლის ბლიკები ეფინება ყველაფერს და ვგრძნობთ, სიცოცხლის სურნელმა მოჰფინა პოლოფონიური გუმბათოვანი ნატურმორტები...

ტილოს საწყისი – მთის ოვალურმა სილუეტმა ყველაფერი შეიდნო: გეომეტრიული მსხლის ყუნწები, ღუიან „ყურმოჭრილი“ მზესუმზირები, ცეცხლის ბუჩქები, საფერავის მტევნები და თაფლის არომატი...

ზამბახის, იისფერი შეადნო მუქმწვანესთან და მიწას დაუფინა...

მთაზე ხილი ააყვავა...

მისტიკური ვაზის შავ მტევნებში ხან იძირება და ხანაც ცოცხლდება ნატურმორტი...

ყურძნის სული სიცოცხლეს ჩაუფინა...

სიზმრების რაკურსით, სიზმრების სიმართლით მიწა და ცა შეაერთა... ცის სილურჯიდან ამოზრდილი გაუდის კოშკივით ხილის ზვინები, სადაც ჯერ ქანდაკებაა და მერე ადამიანი, გაუდის მსგავსად – ადამიანი – ნახევრად ყვავილი და ნახევრად ადამიანი...

ყვავილებს თვალები ჩაუსვა, ადამიანის ფორმა მისცა და ფორმაზე მზეები აანთო, ყვითლად ბარდნის მზესუმზირის სინათლის ბლიკები, უხვად გასცემენ სითბოს და საოცარი სითბოს აღმძვრელი, სურნელოვანი აურა ეფინება ნატურმორტებს.

ეპიკური და ელეგენტურია ნატურმორტები, გაომეტრიული და პოეტურად ნაჯერი, მსუყე ფერწერა...

ზომიერი კლასიციზმი და სიმბოლიზმი...

ყვავილი, ხილი, მთა, მიწა, ცა, გეომეტრია და ფერწერა...

ჯვალო, ხავერდი, აბრეშუმი, ოქროს ნაქარგი...

„ამ ვარდობის თვეს ვარდებით ვთვრები,
კარგია თრობა
და მებრალება მე ჩემი მტრები,
არ ვიცი მტრობა“. (გალაკტიონი)

ეს პარანატურმორტებია – შედიან მიკროკოსმოსში და ბუნებას, მაკროკოსმოსს იახლოვებენ...

და მაინც, ამ სანახაობაში თვალი, მესამე თვალი მეტყველებს... ასეა აგებული წერეთლის ნატურმორტები: „მას, რაც ფიზიკის შემდეგ მოდის“...

წერეთლის ფერწერა წარმოადგენს სივრცობრივ ხელოვნებას, არა იმიტომ, რომ მისი ასახვის საგანი სივრცეა, არამედ იმის გამო, რომ გამოსახულება სივრცეში, ფერწერული ქმნილების სპეციფიკურ სივრცეში იშლება. არქიტექტურა, ზედმიწევნით სივრცული ხელოვნება – არაფერს ამბობს სივრცეზე. უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ, რომ იგი თვით სივრცეს აიძულებს ილაპარაკოს. მაში სივრცე მეტყველებს. რამდენადაც ხელოვნება თავისი არსით ისწრაფვის შემქნას წარმოდგენა თავის თავზე, ამდენად, აქ სივრცე ლაპარაკობს არქიტექტურაზე.

წერეთლის ფერწერა გვთავაზობს ორიგინალურ სივრცეს – სუბსტანციალიზირებულს. ეს არის სივრცის ჯამური სისტემის მოდიფიკაცია – ნამდვილი ხელოვნების ველი, სადაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია. აქ არის სივრცული მეტაფორები: ცა, მთა, ყვავილი, ადამიანი, ცხოველი და ა. შ.

ობიექტი რაციონალიზებულია ხელოვნების ველში, ადამიანი თანამედროვე სივრცეშია და სივრცე არსებობს იმპლიცენტურად, ნაგულისხმევი სახით. ფიგურები აზრობრივი ან ფერადი ეფექტებია.

ვულოცავთ!

4 იანვარი ბატონი ზურაბ წერეთლის დაბადების დღეა!

დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვულოცავთ მსოფლიო მასშტაბის ბრწყინვალე ხელოვანს ამ დღეს და დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

„საერთო გაზეთი“

პრუსტის სივრცე სხვა არის, სეზანის – სხვა, რადგანაც სივრცობრივი მეტაფორები წარმოქმნის უნივერსალური დიაპაზონის დისკურსს – სადაც წერეთლის ფიგურების გამომთქმელის და გამოუთქმელის – ფუნქციონალური ასიმეტრია მნიშვნელოვანია, ვიდრე სიუჟეტში. დეტონირებული სივრცე იძლევა უფრო ცოტა სივრცობრივ მნიშვნელობას, ვიდრე კონოტირებული, სივრცე-ფიგურა უფრო მეტს გვეუბნება თავის თავზე, ვიდრე სივრცე-სიუჟეტი. კონოტირებული სივრცე უფრო გამჟღავნებულია, ვიდრე გამოთქმული...

ეს არის სივრცის, ადამიანების და ბუნების აღქმის მაგიური რაკურსი, ახალი რეალობები – მანიპულირების ნიჭი და შესაძლებლობანი.

წერეთლის ფერწერა ადამიანთმცოდნეობის ფერწერული ენციკლოპედიაა: ავადმყოფობის, სიძულვილის, შიშის, უსამართლობის, სიყვარულის ცხადად თუ იდუმალ კონტექსტებთან ორგანულად ნაზიარები; ყოველი ადამიანი ცოდვილიცა და წმინდანიც, თავისი და ახლობლების ცხოვრების დრო-სივრცისგან შეკრული ფერადი ვიზიონები, ანუ მდიდარი იმ პარადიგმებით, რომელნიც ქართულ ფოლკლორში, ფიროსმანის, ვან გოგის, სეზანის, პიკასოს, მატისის თუ თბილისური ცოდნის არქეოლოგიაში არიან აკუმულირებულნი.

წერეთლის „მისტიკურ-ალეგორიულ“ ფერად ვიზიონებში სამყაროს ცოცხალი ხატი კაცობრიობის ტრადიციული, კულტურული წარმოდგენების ანარეკლია, რომლის ფუნქციური დანიშნულება განსაკუთრებით გამძაფრებულია სწორედ დიდი ფერმწერის – წარმოსახვაში...

მის მონუმენტურ პერსონაჟთა მენტალური არსი ყოფიერების ცოცხალი დიალექტიკაა. ისინი თავის თავში იდნობენ დრო-სივრცის უსასრულობას, ამიტომაცაა მათი სოციალური სტატუსი – არტისტული გრიმი, თვალების მეტყველება ყვავილოვანი ეფემერაა და სხვა არაფერი.

მითოლოგიური ცეცხლი, ინიციაციური მოტივები, ტაძრული სივრცეების „ჩადგმა“, ფანტასმაგორიულ-ეროვნული და მხატვრული ცნობიერების ორგანულ კონოტაციებად წარმოგვიდგებიან.

წერეთლის კოსმოსი, პრაქტიკულად, უნივერსალურია – მათში ცნობიერად თუ ქვეცნობიერად წარმოსახულია უმდიდრესი ქართული და არა მარტო ქართული სულიერების ტრადიცია – XX–XXI საუკუნეთა სოციო-კულტურული კოლოზიებითაა გაჯერებული, მისი ფერწერული ქმნილებები ემატება მის ძიებებს ხელოვნებაში თანაც იმ ფუძემდებლური პარადიგმებით, რაც სრულიად ლოგიკურად განსაზღვრავს კაცობრიობის ბედსა და ცხოვრებას.

წერეთელმა ააშენა ხელთუქმნელი ხელოვნების ტაძარი... XXI საუკუნის ხელოვნების მაღალი კლასიკის ღირსეული ფუძე...

ნათელა კობიაშვილი



გილოცავთ დამდეგ 2018

რეზო ამაშუკელი,
პოეტი:

– ახალ წელს ვულოცავ „საერთო გაზეთის“ მთელ კოლექტივს, რედაქტორს, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას, კარგ პოეტს, შესანიშნავ პიროვნებას, გაძლიერდით, წარმატებებს გისურვებთ პროფესიულ საქმიანობაში, ცხოვრებაში.

ვულოცავ სრულიად საქართველოს, თუმცაღა საქართველო აღარსად არის... სამწუხაროდ, ჩემი საახალწლო სურვილები რეალობას არ ემთხვევა. სანამ ნაციონალები არ გაქრებიან ჩვენი თვალსაწიერიდან, მუდამ გასაჭირში იქნება საქართველო. ამ სადღესასწაულო დღეებში მეტს ვერაფერს გეტყვით. საზეიმო დღეების შემდეგ მოგახსენებთ ყველაფერს დაწვრილებით.

გოგი თოფაძე,
პარლამენტის დეპუტატი:

– მიცულოცავ ახალ წელს მთელ საქართველოს. სიკეთე, სიუხვე, სიმრავლე იყოს თქვენს ოჯახებში. მშვიდობა, გაძლიერება ჩვენს სამშობლოს.

აქვე მინდა მოგილოცოთ თქვენ, „საერთო გაზეთის“ მთელ კოლექტივს. ეს გაზეთი მართლაც გამორჩეულია ბეჭდურ პრესაში, ის ერთ-ერთი იმ მცირე გამონაკლისთაგანია, რომლებიც მიუკერძოებელ სიტყვას აწვდიან მკითხველებს, მთელ საქართველოს. ეს გაზეთი სამშობლოს მოყვარულების, თავდადებული ადამიანების, მართალი სიტყვის მთქმელი გაზეთია. ისეთი, როგორიც უნდა იყოს პრესა, მედია. გამარჯვებები და წინსვლა „საერთო გაზეთს“, მთელ თქვენს კოლექტივს, თქვენს მკითხველებს, ჩვენს სამშობლოს!

ირაკლი ტრიპოლსკი,
პარლამენტის დეპუტატი:

– გილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო, „საერთო გაზეთის“ მკითხველებო! მთელ საქართველოს მივულოცავ, სიუხვეს, სიკეთეს გისურვებთ მრავალჟამიერ!

„საერთო გაზეთი“ შესანიშნავი გამოცემაა, ერთ-ერთი გამორჩეული გაზეთია ქართულ მედიასივრცეში.

2018 წელს სიმართლის მსახურებას, ქვეყნის სადარაჯოზე ისევე მედგრად დგომას გისურვებთ!

კიდევ ერთხელ ვულოცავ მთელ საქართველოს ახალი წლის შემობრძანებას!

ბუბა ხოტივარი,
კინორეჟისორი:

— გილოცავთ, მეგობრებო, ახალ წელს, გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულს, გამრავლებას, ცხოვრების მსუბუქად ატანასა და ნაკლებად დრამატიზირებას. ღმერთი მართლაც ჰფარავს საქართველოს, არაფრის შეგეშინდეთ! მაღლა ასწიეთ თავები! დასწიეთ მხოლოდ მადლიანი „საერთო გაზეთის“ კითხვისას – აქ ყველაფერს გაიგებთ, არაფერს დაგიმალავენ და გულსაც არ გაგიბზარავენ – დალოცვილი ოპტიმისტები არიან მათი რედაქტორის, უნიჭიერესი პოეტისა და გაუტეხავი ქართველის ვახტანგ ხარჩილავას მეთაურობით, რომელიც უკვე რამდენი წელია თესავს სიკეთეს, სიმართლესა და საერთოდ, ქრისტიანულ ფასეულობებს. ღმერთს ებარებოდეთ, ჩემო ქართველებო! გილოცავთ ყველას 2018 წელს!

ლაშა გვასალია,
მწერალი:

– გილოცავთ! მთელ საქართველოს ვულოცავ ახალ წელს!

ღმერთმა სიკეთე, ბედნიერება და განსაკუთრებული სიხარული მოუნაგროს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს საყვარელ ქართველებს.

ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობისა და გაერთიანების, საქართველოს ბედნიერების წელი!

მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ მომავალ წელს მაინც შევხვდებით შობა-ახალ წელს ერთად ჩვენ, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები. ძლიერად მაქვს ამის შინაგანი განცდა. ვისურვებ, რომ ჩემი განცდები რეალობად ქცეულიყოს.

ვულოცავ ჩემს საყვარელ გაზეთს – „საერთო გაზეთს“.

მართლაც ყველას გაზეთი ხართ, ხალხის იმედი, ხალხის გაზეთი. მინდა ბედნიერები იყოთ, წარმატებულები, ამ ახალ წელიწადს „საერთო გაზეთის“ ნომრები დაბეჭდილიყოს აფხაზეთში, ცხინვალში აფხაზურ, ოსურ ენებზეც, ერთად გვეზეიმოს ყოველი დღესასწაული, ყოველივე კარგი, აღმატებული და წარმატებული თქვენ და სრულიად საქართველოს!

ნინო ფილოსანი,
საქართველოს პარლამენტის დეპუტატი:

– მალე დადგება მოლოდინით, გეგმებით, სურვილებით სავსე ახალი 2018 წელი. საქართველოში ყოველ ოჯახს მინდა ვუსურვო კეთილდღეობა, სიმშვიდე, ეს წელი მეტი სიკეთის, თანადგომის წელი ყოფილიყოს, დავდგეთ ერთად, რომ უკეთესი და ძლიერი სახელმწიფო შევქმნა თ.

თქვენი, ჟურნალისტების საქმიანობა მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა ქვეყნისთვის, ამიტომ ამ შესანიშნავი გაზეთის – „საერთო გაზეთისთვის“, მთელი კოლექტივისთვის მკითხველთან ნაყოფიერი ურთიერთობის წელი დამდგარიყოს, მუდმივი წინსვლა და განვითარება ყოფილიყოს თქვენი და მთელი საქართველოს მამოძრავებელი ძალა.

რომან რურუა,
მსოფლიო ჩემპიონი:

– პირველ რიგში, ახალ წელს მივულოცავ „საერთო გაზეთს“, მთელ თქვენს შესანიშნავ კოლექტივს. მართლაც შეუპოვარი და პატრიოტი ადამიანები ხართ. სულ გამარჯვებებით გევლოთ!

წარმატებები, წინსვლა, გაერთიანება, გაძლიერება, გამთლიანება მინდა ვუსურვო ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას. „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენიაო“, უთხრა ილია ჭავჭავაძემ საქართველოს, მომავლებმა ცუდ დღეში ჩააგდეს ჩვენი ქვეყანა. გვიჭირს დღეს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ 2018 წელი საქართველოსთვის წარმატებების და ძლიერების წელი იქნება.

იხარეთ, მრავალჟამიერ! გილოცავთ 2018 წელს!

სოსო მანჯავიძე,
თბილისის საკრებულოს დეპუტატი:

– მოგესალმებით და გილოცავთ ახალ წელს „საერთო გაზეთის“ მთელ კოლექტივს. ეს გაზეთი გამოირჩევა უკომპრომისობით. ამ გაზეთიდან ისმის ის ხმა, რაც საქართველოს გულიდან მოდის...

ვულოცავ თქვენს პროფესიონალ ჟურნალისტთა გუნდს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „საერთო გაზეთში“ ჟურნალისტიკის მაღალი სტანდარტების მქონე

შობა-ახალ წელიწადს!

პროფესიონალები მუშაობენ. გაძლიერდით თქვენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

ვულოცავ სრულიად საქართველოს!

2018 წელი წინსვლის, აღმშენებლობის წელი ყოფილიყოს. დამთავრებულიყოს საქართველოს შინაურ და გარეულ მტრებთან გაუთავებელი ბრძოლა. სიკეთემ და სიხარულმა დაისადგუროს თქვენს ოჯახებში, ჩვენს ქვეყანაში.

სოსო არჩვაძე,
ეკონომიკის ექსპერტი:

— გაზეთ „საერთო გაზეთის“ ნიჭიერ შემოქმედებით კოლექტივს, გილოცავთ დამდეგ ახალ, 2018 წელს და გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს და აღიარებას. დაე, ამ ახალ წელს ყველა თქვენთაგანისათვის და თქვენი სახით — სრულიად საქართველოს მოსახლეობისათვის — მოეტანოს ხვავი, ბარაქა, კეთილდღეობა, მიზნების ასრულება. თქვენ ყოველთვის პირუთვნელად იცავდით საერთო-ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მაღალპროფესიულად და ობიექტურად აშუქებდით ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალურ პრობლემებს და ამითაც ზედმიწევნით ამართლებდით თქვენი გაზეთის სახელწოდებას. დარწმუნებული ვარ, მომავალი წელი იქნება გაცილებით წარმატებული, ახალი მიღწევებისა და აღიარებების წელი — პირადად თქვენთვის და თქვენი ერთგული მრავალათასიანი მკითხველისათვის. იხარეთ და იდღეგრძელეთ!

კახა ძაგანია,
პოლიტიკური პარტიის „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი:

— როცა საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის პერიოდში რთული ამოცანების წინაშე იდგა, გავიარეთ რევოლუციები, ომები, მძიმე რეჟიმები, ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტი, როგორიც არის პრესა, მედია. თავის მხრებზე, სიცოცხლის რისკის ფასად, თავისუფლების რისკის ფასად, ამ ინსტიტუციებმა აქამდე მხრებით მოიტანეს საქართველოში დემოკრატია. ერთ-ერთი ასეთია „საერთო გაზეთი“. ის ნამდვილად ამართლებს სახელწოდებას. ეს გაზეთი არის ხალხის, ანუ ჩვენი გაზეთი და იმასაც რომ თავი დავანებოთ, რომ ამ გაზეთის კოლექტივს ჩემს თანამებრძოლად და თანამოაზრედ მივიჩნევ, სუბიექტივიზმსაც რომ გვერდი ავუაროთ, საქართველოში არსებულ სხვა ბეჭდური გამოცემების მცირე გამონაკლისთან ერთად, „საერთო გაზეთმა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მომავლის საქმეში. თქვენ ჯანმრთელობის, სიცოცხლის რისკის ფასად ეწევით თქვენს პროფესიულ საქმიანობას, რადგან დღეს არ არის ადვილი დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა უსაფრთხოდ იყოს.

2017 წელს მსოფლიოში 80 ჟურნალისტი გარდაიცვალა პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს. წინასაახალწლოდ ასეთ მძიმე სტატისტიკას იმიტომ ვახსენებ ჩვენს მოსახლეობას, რომ მკითხველმა დააფასოს და გააანალიზოს, რამდენად რთულია თქვენი საქმიანობა, რომ ემსახუროთ სიმართლეს და ქვეყანას.

გასულ წელს ბევრი კარგი რამ მოხდა საქართველოში — ვიზალიბერალიზაცია, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან და ა. შ. სამწუხაროდ, რუსეთთან ურთიერთობები კვლავ გაყინულია და ვისურვებდი, 2018 წელს ყინული გამლღვალიყოს, რაც შეიძლება მეტი ინვესტორი შემოსულიყოს, ხელფასი ოჯახის ყველა ზრდასრულს ჰქონოდეს, ტერორიზმის საფთხე ჩვენს ქვეყანას არიდებოდეს, საქართველოში და მსოფლიოშიც ბავშვები არ შიმშილობდნენ...

ამ ახალ 2018 წელს ხვავი, ბარაქა ყოფილიყოს საქართველოში.

წინა ხელისუფლების მსგავსი დიქტატურა აღარ დაბრუნებულიყოს ჩვენს ქვეყანაში.

ხელისუფალს თავი ხალხის მსახურად ეგრძნოს და არა ხალხის უფროსად.

გამთლიანებულიყოს ჩვენი ქვეყანა.

პეტრე მამრაძე,
პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:

— მინდა მივესალმო „საერთო გაზეთის“ მთელ კოლექტივს, ხელმძღვანელობას, ჟურნალისტებს, ვინც ემსახურება სიტყვის თავისუფლებასა და ობიექტური სიტყვის კეთილშობლიურ საქმეს. მე წლების განმავლობაში მაქვს პატივი ვითანამშრომლო თქვენს შესანიშნავ გაზეთთან, სიამოვნებით ვისხენებ თქვენს გაზეთთან ყოველ კონტაქტს.

როცა ბრძოლა იყო, „საერთო გაზეთს“ არასდროს უკან არ დაუხევია, არ აჰყოლია ყვითელი პრესის ტალღას, მიუკერძოებელი სიტყვა მუდამ ისმოდა ამ გაზეთის ფურცლებიდან. ახალ წელს გილოცავთ თქვენ, თქვენს ახლობლებს.

ახალ წელს ვულოცავ მთელ საქართველოს! გამარჯვება, წარმატება, გამრავლება, ბედნიერება ყოველ ოჯახს, ვინაიდან საქართველო, როგორც ყველა ერი, ოჯახებისგან შედგება. ამ ოჯახების წარმატება ერების, სახელმწიფოს, ქვეყნის წარმატებას ნიშნავს!

კობა არაბული,
მწერალი, ეთნოგრაფი:

— ვულოცავ ახალ წელს მთელ საქართველოს, ამ ერს, იმ ერს, დასავლეთს, აღმოსავლეთს, ჩრდილოეთ საქართველოს, სამხრეთს, აქაურელებსა და იქაურელებს, ზემოურელებსა და ქვემოურელებს, იქაველებსა და აქაველებს, ძველი თემების, კუთხეების მკვიდრთ, ყოველ მოსახლეს გაუმარჯოს უფალმა, გაამრავლოს, გადაარჩინოს ჩვენი ერი და დააბრუნოს თავის ისტორიულ სივრცეში. უცხოეთში ლტოლვილებს ვუსურვებ მოეხერხებინოთ დაბრუნება, შემოქცევა გენეტიკურ სამშობლოში.

ვულოცავ ახალ წელს, ვინც 2018-ში დაიბადება, ვინც წლეულს შემოვა ქართულ სივრცეში, იმ ახალ თაობას, კარს რომ შემოხსნიან და შემოაბიჯებენ ჩვენი ერის ისტორიულ გზაზე.

ვულოცავ „საერთო გაზეთს“, ამ მართლაც პატრიოტ გამოცემას. — არ შეშინდეთ! არ მოიწყინოთ! არ შედრკეთ! არ ჩაიძინოთ, რათა ერი არ გაყუჩდეს. გაჩერება და გაყუჩება სიკვდილს ნიშნავს. მტკიცედ დექით! გაგიმარჯოთ!

ზაურ კალანდია,
მწერალი:

— ამ ახალ წელს იმის მლოცველი ვარ, ძლიერ საქართველოში ცხოვრება გვეღირსოს. ჩვენმა თაობამ, შეიძლება, ბევრი რამე ვერ გავაკეთეთ, მაგრამ, ვისურებდი, ახალმა თაობამ, შობა-ახალი წლის მადლით, გააბრწყინოს ჩვენი სამშობლო.

ვულოცავ „საერთო გაზეთს“! ეროვნულ, საქმიან, სამშობლოს ტკივილი რომ სტკივა, იმ გაზეთს. პროფესიონალებით დაკომპლექტებულ, ქვეყნისთვის საჭირო გამოცემას. იხარეთ და იდღეგრძელეთ!

ოთარ ხუფენია,
ეკონომიკის ექსპერტი:

— აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელი: — ჩემი საყვარელი გაზეთის საშუალებით ვულოცავ საქართველოს 2018 წელს. მინდა ჩვენს ქვეყანას ვუსურვო მთავარი ოცნების, სურვილის, მიზნის გადაწყვეტას — ერთიან, მთლიან, გაძლიერებულ საქართველოში გვეცხოვროს.

მრავალჟამიერ ქართველ ერს!

ანზორ თოთაძე,
დემოგრაფი:

— საქართველოში დღეს სულ ორისამი გაზეთია, რომლებიც პატივისცემას იმსახურებენ. მათ შორის საუკეთესოა „საერთო გაზეთი“. აქ უმაღლესი დონისაა თითქმის ყველა პუბლიკაცია მაშინ, როცა ზოგიერთი გაზეთის სტატიიდან შინაარსის გაგება გაუჭირდება ადამიანს. ეს ამ გაზეთის რედაქტორის, ბატონი ვახტანგ

ხარჩილავას დამსახურებაა, რომელიც ასევე არის შესანიშნავი პუბლიცისტი. იშვიათია დღეს მისნაირად მოაზროვნე ადამიანი და მწერალი.

ჩვენი ქვეყანა ახალ წელს უამრავი პრობლემით სავსე ხვდება, თუმცა მთავარი პრობლემა ქვეყნის სიყვარულის დეფიციტია.

2018 წელს ეს სიყვარული გაძლიერებულიყოს. მე, როგორც დემოგრაფი, ვისურვებ: ყოველ ოჯახში, მინიმუმ, სამი ბავშვი ყოფილიყოს! ეს გადაარჩენს ჩვენს ერს, ქვეყანას!

რა პროგნოზებს აკეთებენ წინასწარმეტყველები 2018 წლის შესახებ?

2018 წლის შესახებ ავტორიტეტული წინასწარმეტყველები „წარსულიდან“ დამაიმედებელ ინფორმაციას გვაწვდიან. ვანგას გათვლით, მომავალი ახალი წელი ბევრად უკეთესი იქნება, ვიდრე გასული წელი. ეკოლოგიისა და კატაკლიზმების თვალსაზრისით, არცთუ დამაიმედებელი პროგნოზი აქვს, თუმცა ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას ნაკლებად დააზარალებს (მაქსიმალური ყინვა და გვალვა. წყალდიდობები და ვულკანის ამოფრქვევა). კატაკლიზმების მიზეზად ვანგა ადამიანის მიერ აგრესიულ ტექნოგენურ საქმიანობას ასახელებს. სამედიცინო სფეროში-დიდი მიღწევებს პროგნოზირებს. კერძოდ, ეს იქნება სინთეზური, ცხოველური ჰორმონებისაგან მიღებული პრეპარატი, რომელიც აღადგენს ძალებს, იმუნიტეტს და

კანის ქსოვილს. ვანგა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყველაზე პრობლემური 2018-წელს იქნება ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ფსიქიური მდგომარეობა. 2018-წელს, მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ჩრდილიდან გამოვა ჩინეთი.

სერიოზული პრობლემა შიმშილი გახდება, რომელიც აფრიკის კონტინენტზე დაისადგურებს. გარდა ამისა, ნათელმხილველი უამრავ ვირუსულ დაავადებაზე საუბრობს, რომელიც ბუნებას ჯერ არ უნახავს.

ნოსტრადამუსის 2015-2025 წლები – ისლამური და ქრისტიანული კულტურების დაპირისპირება გამწვავდება. ახალი მსოფლიო ომი თავიდან იქნება აცილებული ჩინეთის სამშვიდობო შუამავლობის წყალობით.

2018-2024 წლები – ჩინეთი იკავებს მსოფლიო ეკონომიკური ლიდერის პოზიციას. ბევრი განვითარებადი ქვეყანა დიდი ქვეყნების ეკონომიკურ შანტაჟისტად იქცევა.

2020 წელი – გაეროს შტაბ-ბინა გადავა ჟენევაში და ამ დროს იწყება ანტიქრისტეს აქტიური მოქმედება მასმედიასა და საინფორმაციო სფეროში. თუმცა, ნოსტრადამუსის თარიღები, ანტიქრისტესთან დაკავშირებით, ბიბლიურ თარიღებს არ ემთხვევა, რაც კიდევ ერთი თავსატეხია. მოსალოდნელია, მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების დაახლოება. შესაძლოა, ამას საფუძველი უკრაინაში ჩაეყაროს... მეცნიერები მზის ენერგიის აკუმულირების ახალ ტექნოლოგიას შეიმუშავებენ. საერთო ჯამში, მზის ბატარეების მიერ წარმოებული ენერგია ნავთობისა და გაზის წვით მიღებულ ენერგიაზე იაფი გახდება.

2018 წელს გამომთვლელი მანქანის მეხსიერება ადამიანის ტვინის მეხსიერებას შეედრება. კლავიატურა მოკვდება. უნივერსალური პროგრამები ადამიანის გონებაში წარმოთქმულ ფრაზებს გამოითვლიან, ხმას ამოიცნობენ და მის სინთეზირებას მოახდენენ, რაც ადამიანს კომპიუტერთან დიალოგის საშუალებას მისცემს. 3D-გამოსახულება თვალის ბადურაზე პროეცირდება, მობილურ ტელეფონებს ტანსაცმელში ჩააკერებენ. ხმის ტრანსლირება პირდაპირ ადამიანის ყურის მემბრანაზე მოხდება. სმენადაკარგული ადამიანი სპეციალურ სათვალეს მოიხმარს, რომლითაც გარშემო მყოფთა მეტყველება გაიშიფრება.

ედგარ კეისი, „მძინარე წინასწარმეტყველის“ სახელითაა ცნობილი, იწინასწარმეტყველა ორივე მსოფლიო ომი. ზუსტად დაასახელა ამ ომების დაწყებისა და დამთავრების თარიღები. წინასწარ განსაზღვრა 1929 წლის ეკონომიკური კრიზისი. პირველმა მან გაახმოვანა, რომ მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმი დამარცხდებოდა და სსრკ გაიმარჯვებდა. „მეოცე საუკუნე დამთავრებული არ იქნება, დადგება კომუნიზმის კრახი, კომუნისტები ძალაუფლებას დაკარგავენ“, – აღნიშნავდა გარდაცვალებიდან ცოტა ხნით ადრე ედგარ კეისი. მანვე იწინასწარმეტყველა, რომ კომუნიზმისგან გათავისუფლებულ რუსეთს დიდი კრიზისი ელოდა, მაგრამ ღირსეულად გამოვიდოდა ამ კრიზისიდან. კეისი წინასწარმეტყველებდა, რომ რუსეთიდან წამოვიდოდა გადარჩენის იმედი მსოფლიოსთვის და არა ბოლშევიკური რუსეთიდან, არა კომუნისტური, არამედ თავისუფალი რუსეთიდან. კეისი ჩინეთზეც წინასწარმეტყველებს. დადგება დრო, ჩინეთი ქრისტიანობის აკვანი გახდებაო.



კეისის პროგნოზის თანახმად, კლიმატური და სეისმოლოგიური კატაკლიზმები მთელ პლანეტას მოიცავს, რის გამოც შეიცვლება იგი. კეისის ყველა წინასწარმეტყველება ტრაგიკულად მთავრდება, ამერიკელი წინასწარმეტყველი აღნიშნავს, რომ რუსეთი გახდება სამყაროს გადამრჩენელი, განსაკუთრებით აღმავლობა დაიწყება აღმოსავლეთ ციმბირიდან. ამ შემთხვევაში კეისის წინასწარმეტყველება ვანგას სიტყვებს ჰგავს, 1979 წელს ვანგა ამბობდა, რუსეთი ჩაიბარებს პლანეტის ბედიღბალსო.

განსაკუთრებული ხაზგასმით ამერიკელი წინასწარმეტყველი ნიუ-იორკის დაცემაზე მიანიშნებდა. ჯერ ის დაინგრევა, მერე მოჰყვება სხვა დიდი ქალაქებიცო, – წერდა. 2018-წელს კეისის გათვლით საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე რუსეთი წამყვან როლს „მოირგებს“. ევროპის ტერიტორიაზე ახალ იარაღს გამოცდიან, რაც საშინელი შედეგით დასრულდება და ევროპიდან მოსახლეობის ემიგრაციას გამოიწვევს.

რაც შეეხება კატაკლიზმებს, მომავალ წელს, კეისის გათვლით, წყალდიდობა, ტემპერატურის მკვეთრი ვარდნა, გვალვა, არც ერთ კონტინენტს არ დატოვებს „უყურადღებოდ“. გამონაკლისი მხოლოდ ერთი მონაკვეთი, დასავლეთ ციმბირი იქნება.

თანამედროვე წინასწარმეტყველის ვერა ლიონის პროგნოზით, 2018 წელს მსოფლიო ეკონომიკა არასტაბილური იქნება. სამაგიეროდ, დოლარი გახდება პრიორიტეტული. ეკონომიკური თვალსაზრისით დაზარალდებიან „მყარ ნიადაგზე მდგომი“, ქვეყნები. სადაც უმუშევართა რიცხვი კატასტროფულ ზღვარს მიაღწევს და ქვეყანაში უმართავ პროცესებს გამოიწვევს. რუსეთის შესახებ ლიონი წერს, რომ მკვეთრად გაუმჯობესდება ეკონომიკური სიტუაცია. ლიონს, იმედისმომცემი პროგნოზი აქვს სირიის შესახებ. მისი თქმით, სირიაში სიტუაცია დასტაბილურდება. დაიწყება ინფრასტუქურის აღდგენა. საცხოვრებელი სახლების შენება. ისლამისტები შეეცდებიან რევანშის აღებას, მაგრამ გაჟონავს ისეთი რეზონანსული ინფორმაცია, რომელიც აიძულებს მსოფლიო საზოგადოებას სხვა თვალით შეხედონ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს. დიდი შანსია დასახელდნენ „ფარული“ ორგანიზატორები, რომლებიც ბოლო ათწლეულში მართავდნენ სისხლიან პროცესებს. ლიონი ვარაუდობს, რომ მომავალ წელს მასიურად მოხდება ღირებულებების გადაფასება და ადამიანების დიდი უმრავლესობა ჭეშმარიტ ღირებულებებზე შეაჩერებს არჩევანს. მას არცთუ სასიამოვნო პროგნოზი აქვს უკრაინასთან დაკავშირებით. ლიონის თქმით, 2018 წელს დონბასში ომი გაგრძელდება, „ნოვორასიის“ მსურველები მკვეთრად გაიზრდებიან. ხოლო დასავლეთის „შავი ზრახვები“ ყველასთვის ნათელი გახდება. ნატოს ჯარი დონბასში ფეხს ვერ მოიკიდებს. 2018-წელს პლანეტა დედამიწა ეკოლოგიის მიმართ უდიერად მოპყრობის საპირწონედ დიდ სიურპრიზს – საუკუნის კატაკლიზმს გვიგზავნის – დაზარალდებიან ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე და იაპონიაში. გააქტიურდება ვულკანი „იელლოუსტონი“. 2018 წელს ევროკავშირის „უფროს“ და „ახალ“ წევრებს შორის განხეთქილებაა მოსალოდნელი. ამ შემთხვევაში წონასწორობის ღერძი ფრანკო-გერმანულიდან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისკენ გადაიხრება. ამის გამო, მომავალი წლის ბოლოს ევროს კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიძლება მნიშვნელოვნად შესუსტდეს. მსოფლიოში აშშ-ის გავლენა შემცირდება და ნავთობის ბირჟებზე ფიუჩერსები იუანებში გაიყიდება. სხვა პროგნოზებთან ერთად, ბიტკონის კურსიც განიხილება. 2018 წლის ბოლომდე პოპულარული კრიპტოვალუტის კურსის 60 ათას დოლარამდე ზრდას პროგნოზირებს. მაგრამ, სულ მალე „ბიტკოინს“, როგორც ფენომენს, ფეხქვეშ მიწას გამოაცლიან – რუსეთი და ჩინეთი გადიან თამაშიდან და თავიანთ ტერიტორიებზე კრიპტოვალუტით ვაჭრობასაც აკრძალავენ. შესაბამისად, 2019 წლისთვის ბიტკოინის ფასი მკვეთრად დაეცემა...

2018 წელი ნეგატიური იქნება და უფრო მეტი მუშაობა მოუწევთ თავიანთ თავზე ქალბატონებს, რომელთა დაბადების თარიღია 2 იანვარი, 15 თებერვალი, 9 და 31 მარტი, 22 აპრილი და 14 მაისი, 19 ივლისი და 10 აგვისტო, 1 და 23 სექტემბერი, 15 ოქტომბერი, 6 და 28 ნოემბერი, 20 დეკემბერი... ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი მიზნის მისაღწევად ძალა და ენერგია არ დაზოგონ – გაუმართლებთ. ხოლო ზარმაცებს ფორტუნა აუცილებლად მიატოვებს!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ხელისუფლების კრიზისი იწყება მაშინ, როცა ნეპოტიზმი ტოტალურ ხასიათს იძენს

არნო ხიდირბეგიშვილი: არათანაბარი შესაძლებლობების ქვეყანა

„საქართველოში ახლობლობის ინსტიტუტის ბოლომდე მოსპობა არ გამოვა, ის ყოველთვის იქნება“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრობის დროს და მართალიც იყო. – ჩვენ, ქართველები ხომ დიდი **„მეახლობლეები“** ვართ, თუმცა, ნეპოტიზმის ბოლომდე მოსპობა ვერ შეძლეს დასავლეთის ყველაზე მოწინავე ქვეყნებმაც კი, რომლებიც საქართველომ ეტალონად აირჩია.

მთავარი – პროპორციაა, რომლითაც ნეპოტიზმი სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში არსებობს: როდესაც ნეპოტიზმის წილი პრევალირებას იწყებს და რაციონალურ საკადრო პოლიტიკას ქვეშ მოიყოლებს, ანდა ნეპოტიზმის ტენდენცია ტოტალურ ხასიათს იძენს, ხელისუფლების კრიზისი იწყება, რომელიც ადრე თუ გვიან მისი გადადგომით ან რევოლუციით მთავრდება. ასე დაემართა გაქსუებულ საბჭოთა ნომენკლატურას, რაც სსრკ-ის ლიკვიდაციით დამთავრდა. ასე დაემართა პრეზიდენტ შევარდნაძის კორუმპირებულ რეჟიმს, რაც „ვარდების რევოლუციით“ დამთავრდა.

და ბოლოს: ნეპოტიზმმა და კლანურმა მმართველობამ იმსხვერპლა ისეთი ზესახელმწიფო, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო.

ხანგრძლივ პოსტსტალინურ პერიოდში, რომელსაც უძრაობის პერიოდად იხსენიებენ, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც დამსახურებული აღიარება და სამსახურში დაწინაურება თავიანთი ნიჭის, გამოცდილების და კვალიფიკაციის წყალობით დაიმსახურეს, მინიმუმამდე შემცირდა. თანამდებობები მხოლოდ ნაცნობობით და ქრთამით ნაწილდებოდა! დასავლეთმაც არ დააყოვნა, რომ ამით ესარგებლა და სსრკ-ის ლიკვიდაცია სწორედ მათი – მექრთამეების, ქურდებისა და გამყიდველი მოღალატეების ხელებით მოახდინა.

მიხეილ გორბაჩოვის დროიდან დაწყებული, ცნებები „სახელმწიფო მოხელე“, „თანამდებობისთვის შესაფერისი“, „სახელმწიფო მოღვაწე“ საბოლოოდ დაშორდა ცნებებს „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე“, „სახელმწიფო, და არა პირადი ან ვიწრო პარტიული კატეგორიებით მოაზროვნე ადამიანი“ – პერსპექტიული კადრების ძიება და მათ ჩამოყალიბებაში დახმარება, ანუ ხელსაყრელი პირობების შექმნა, რათა სიმდიდრის და გავლენიანი ნაცნობების არმქონე ტალანტები ბოლომდე გაიხსნან და სახელმწიფოს სარგებლობა მოუტანონ, შეიცვალა მფარველობით ნათესაური ან მეგობრული სიახლოვის პრინციპით, ანდა ახლობლების მეშვეობით საიმედო სქემებით აღებული ქრთამების სანაცვლოდ.

ნათელი მაგალითი: საქართველო **მიხეილ სააკაშვილის** რეჟიმის დიქტატურის პერიოდში, რომელსაც დასავლეთში, უკრაინაში და რუსეთშიც კი ზოგიერთები საქართველოში კორუფციის გამანადგურებელ დიდ რეფორმატორად მიიჩნევენ. მან მოსპო კორუფცია საქართველოში საშუალო და დაბალ დონეზე – ეგრეთ წოდებული საყოფაცხოვრებო, და არა ელიტური კორუფცია, მაგრამ არა რაიმე რეფორმატორული დასავლური „ნოუ-ჰაუებით“, არამედ რუტინული სტალინური მეთოდით – შიშით! თუმცა კადრების შერჩევის საკანონმდებლო დონეზე გამყარებული სისტემის შექმნა, რომელიც საწყისშივე გამორიცხავს ნეპოტიზმსა და კორუფციას, სააკაშვილმა ვერ შეძლო და არც უცდია გასაგები მიზეზების გამო. ხელისუფლების სისტემაში ხომ სწორედ სააკაშვილმა დაამკვიდრა **„გუნდის“** და **„გუნდურობის“** დამახინჯებული ცნებები, რაც გამოუცდელმა საზოგადოებამ სახელმწიფოს მართვის დასავლურ რეფორმატორულ მეთოდად აღიქვა.

სააკაშვილის წარმოდგენით, სახელმწიფოს უნდა მართავდეს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც კომპრომატით – მანკიერებებითა და დანაშაულებით არიან შეკრული, ამიტომ ადვილად იმართებიან და ერთმანეთს ურთიერთთავდებობით უჭერენ მხარს. ამასთან, მათი პარტიული ერთობა – მმართველი პარტიისადმი ნომინალური კუთვნილება – მეორეხარისხოვანია, ხოლო იდეალები და პრინციპები– მოუსყიდველობა, პატრიოტიზმი და სახელმწიფო ინტერესების ერთგულება – იცვლება ჯგუფის ლიდერისადმი მონური მორჩილებით, როგორც კერპთაყვანისმცემელთა სექტაში. აი, ორი მთავარი კრიტერიუმი, რომლებითაც შემთხვევითი ადამიანებისაგან საიმედოდ დაცულ სააკაშვილის გუნდში ხალხს იღებდნენ, რაც უბრალოდ ნიჭიერი, პერპექტიული და პატიოსანი პატრიოტების იქ შეღწევას აბსოლუტურად შეუძლებელს ხდიდა.

ჩვენ საქართველოში რამდენიმე მმართველი პარტია გვახსოვს – კომპარტია, „მრგვალი მაგიდა“, „მოქალაქეთა კავშირი“, სად არიან ისინი დღეს?! „ნაცმოძრაობა“ და მისი ავადმყოფი ლიდერი უკანასკნელ დღეებს ითვლიან... **ამიტომ კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, პირველ რიგში, არა პარტიული ხელმძღვანელობის ან სახელისუფლო რეჟიმის, არამედ სახელმწიფო ეროვნული ინტერესების ერთგულება, არა პარტიული სიმპათიები და კავშირები, არამედ პროფესიული ჩვევები და კვალიფიკაცია!**

რაც შეეხება გადახრებს, მაგალითად – ნორმას, რომელიც ახლო ნათესავებს ერთდროულად მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავებას უკრძალავს: როგორ მოვიქცეთ, თუკი, მაგალითად, ძმები ან ცოლ-ქმარი – ორივე საუცხოო სპეციალისტია თავის სფეროში? რატომ უნდა დაიჩაგროს ერთ-ერთი მათგანი? ეს ხომ არანაკლები უსამართლობაა, ვიდრე ნათესაობის ნიშნით კარიერული წინსვლა?! თუმცა საქართველოს ისტორიას ახსოვს პრეცედენტების შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა, როდესაც ძმები ან მეუღლეები „თანაბრად ფასეული“ იყვნენ სახელმწიფოსთვის თავიანთი „ღირსშესანიშნავი ნიჭით“, მაგალითად – ძმები ბერძენიშვილები„ პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი მეუღლით და სხვ.

„საკმარისია! განა საქართველოს დღეს უფრო მწვავე პრობლემები არ აქვს, ვიდრე ნეპოტიზმია?!“ – გაიკვირვებს ზოგიერთი მკითხველი. აქვს, ბატონებო, – ეკონომიკა, უმუშევრობა, ტერიტორიული მთლიანობა და უცნაური ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც დოკუმენტებით ოფიციალურად გადის, როგორც „ოკუპანტი, აგრესორი და საფრთხე NI“, საქმით კი საქართველოს მთავარი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორია. მაგრამ **ყველა პრობლემა საგარეო პოლიტიკისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სფეროში მაღალი სახელმწიფო თანამდებობებისთვის შეუფერებელი, ნაცნობობით ან დასავლეთის პროტექციით დანიშნული მენეჯერების უხარისხო მენეჯმენტის შედეგია! დიახ, სინანულით გვიწევს, ვაღიაროთ, რომ დღეს საქართველოში ნეპოტიზმის ახალი ფორმა წარმოშვა – მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე გარედან პროტექციით დანიშვნა, ანუ საერთაშორისო ნეპოტიზმი!**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ **საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მთავარი პრობლემაა არა „ოკუპანტი რუსეთი”, არც თუნდაც სააკაშვილი, რომელიც ამ ხელისუფლების დამხობით იმუქრება, არამედ ისევ და ისევ ნეპოტიზმი – როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.**

კადრების შერჩევის მანკიერი პრინციპის ფონზე იკარგება მართლაც ნიჭიერი ხელმძღვანელების ძალისხმევა. მაგალითისთვის აღვნიშნავ სასჯელაღსრულების მინისტრის კახიშვილის უზადო მუშაობას, თბილისის ახალ მერს კალაძეს, რომელმაც პირველივე დღიდან დაიწყო ათწლეულობით დაგროვილი პრობლემების მოგვარება.

და კიდევ, ძლიან ცუდია, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის „სამჭედლოდ“, ახალი კადრების მთავარ მიმწოდებლად ე.წ. **არასამთავრობო ორგანიზაციები** რჩება. საქართველოში უკვე დიდი ხანია, არ არსებობს სახალხო მეურნეობის მართვის უმაღლესი სკოლა, სადაც ტრადიციულად იხვეწებოდა მმართველთა ჩვევები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ უმაღლესი სპეციალური განათლება, ზოგჯერ კი სამეცნიერო ხარისხიც, პლუს კვალიფიკაცია – სპეციალობით მუშაობის სტაჟი. **ახალგაზრდები, რომლებმაც თავის პროფესიაში წარმატებას ვერ მიაღწიეს, დღეს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში მიდიან, რომელთა რესურსით კომპლექტდება საქართველოს ხელისუფლების ყველა შტო. ამიტომაც საქართველოს მთავრობაში და პარლამენტში ვერ შეხვდებით გამოჩენილ აგრონომებსა და ინჟინრებს, ექიმებსა და იურისტებს, პედაგოგებს და მაღალკვალიფიციურ მუშებს, ხოლო უმაღლესი განათლების დიპლომები სავალდებულო არ არის, დაკავებული თანამდებობის პროფილს შეესაბამებოდეს** (დიპლომზე მეტად ნებისმიერი უცხოური კურსების სერტიფიკატი ფასობს).

ცალკე თემაა **მრჩეველთა – ნებისმიერი საკითხის ექსპერტთა** პრივილეგირებული კასტა. **ეს კარის ასტროლოგები სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელების გარშემო ტრიალებენ და ვითომდა ანალიტიკით არიან დაკავებული, სინამდვილეში კი საკადრო საკითხებს წყვეტენ, პროტექციას წევენ და აქედან დივიდენდებს იღებენ, რაც ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე პრიმიტიული მექრთამეობა.**

* * *

აქვს თუ არა პარტია „ქართულ ოცნებას“ რესურსი და სურვილი, უარი თქვას მახინჯ საკადრო პოლიტიკაზე და საკუთარი რიგების ფუნდამენტური წმენდა ჩაატაროს?. შეძლებს თუ არა მმართველი პარტია ადმინისტრაციული რგოლების დაკომპლექტებას ნაცადი, საქმეში გამოცდილი და, ამავე დროს, კრეატიული კადრებით, რომლებსაც დღეს „ჩრდილში ამყოფებენ,“ ან საერთოდ გაიყვანეს თამაშიდან?

„ქართულ ოცნებას“ გადაწყვეტილების მისაღებად დრო თითქმის აღარ დარჩა, ხოლო სტატუსითა და რესურსით ამ პროცესის დაწყება მხოლოდ მის დამფუძნებელსა და ლიდერს – ბიძინა ივანიშვილს შეუძლია.

არნო ხიდირბეგიშვილი
„საქინფორმის“
მთავარი რედაქტორი

„შალვა ნათელაშვილმა პრეზიდენტად კი არ უნდა იყაროს კენჭი, იგი სასამართლოს წინაშე უნდა წარსდეს“

გვესაუბრება „მემარცხენე ალიანსის“ ლიდერი კახა ძაგანია

— ბატონო კახა, შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტობას აპირებს. რას იტყვით ამაზე?

— ნათელაშვილი თუ ხელისუფლებაში მოვიდა, მე და ჩემს მეგობრებს მაშინვე ციხეებში გაგვიშვებს ან ქვეყნიდან გაგვდევნის, ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან იგი, როგორც წესი, ვერ იტანს განსხვავებულ აზრს.

პრეზიდენტობისკენ ნაბიჯი მან, ჩემი ვარაუდით, სააკაშვილის დავალებით გადადგა.

თუ ის პრეზიდენტი გახდა, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ის სიკვდილით დასჯის მუხლს აღადგენს სს კოდექსში და თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრს განახორციელებს.

გასანადგურებლად აუცილებლად დაერევა ეროვნულ ძალებს.

რაც შეეხება დიქტატურას, მას კლასიკური სახით ვიხილავთ ნათელაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში.

ამასწინათ თქვა, 22 წელიწადი პარტიის გენერალური მდივანი ვარო. ამით თავი მოიწონა, სინამდვილეში კი, ეს არის დიქტატურის პირდაპირი ნიშანი — პარტიის თავმჯდომარე არ შეიძლება ერთი და იგივე ადამიანი იყოს ამდენი წლის განმავლობაში, რადგამ, როორც მოგეხსენებათ, პოლიტიკური პარტია ერთი ადამიანის კერძო სტრუქტურა არაა და პარტიის წევრები სხვადასხვა დროს ზოგი გენერალური მდივანი უნდა იყოს, ზოგი აღმასრულებელი და ა. შ. უნდა იცვლებოდეს სტრუქტურა დროდადრო.

— ბატონო კახა, თქვენ წლების განმავლობაში იყავით ლეიბორისტული პარტიის წევრი და ერთ-ერთი ლიდერი. ადრე არ გაგიპროტესტებიათ ნათელაშვილის გენერალური მდივნობა ერთჯერ, მეორეჯერ. რომ გაემიჯნეთ, ახლა საუბრობთ ამაზე?

— არა. დამიგდეთ ყური. არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. მე ლეიბორისტული პარტიის ორ ყრილობაზე მომიწია ყოფნა.

პირველად მართლა ეკუთვნოდა ნათელაშვილს პარტიის თავმჯდომარეობა, მართლა უკომპრომისოდ ვებრძოდით შევარდნაძის კორუმპირებულ მმართველობას. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ მეორე ყრილობის დროსაც ეფექტურად და უკომპრომისოდ იბრძოდა თვითონ ჩვენთან ერთად სააკაშვილის წინააღმდეგ.

მერე უკვე ნელ-ნელა დაეცა მისი რეიტინგიც და პარტიის ნდობაც დაკარგა ხალხმა. მოგვდიოდა ხმები, რომ სააკაშვილთან ალიანსში შევიდა შალვა ნათელაშვილი — ფულს იღებს მისგანო. ამ დროს ჩვენ გვდევნიდენ, გვწამლავდნენ, გვცემდნენ, გვიჭერდნენ, ჩვენი თანაპარტიელები რეპრესირებულები ვიყავით, ზოგი ციხეში, ზოგი ქვეყნიდან განდევნილ-გაქცეული, არ გვჯეროდა იმის, რომ შალვა ნათელაშვილი სააკაშვილთან გარიგებული იყო, სანამ მტკიცებულებები არ ჩაგვივარდა ხელთ. როგორც კი ჩვენი თვალით ვიხილეთ ყოველივე, მაშინვე დავტოვეთ პარტია.

მერე ისიც გაირკვა, რომ პარტიის ლიდერი — შალვა ნათელაშვილი მევახშეობდა. ასაკოვანი ქალბატონები პირზე დაადგნენ და ხმის ამოღება ველარ შეძლო ნათელაშვილმა, ქალბატონებმა უტყუარი მტკიცებულებები წარმოადგინეს.

— მაგრამ მას შემდეგ, რაც ნათელაშვილის მევახშეობის დამამტკიცებელი საბუთები გავასაჯაროვე, რედაქციაში შალვა ნათელაშვილის სეხნია, ფასანაურელი შლვა ნათელაშვილი გვესტუმრა — მე ვარ შალვა ნათელაშვილიო, ტყუილად სწამებთ ცილს ლეიბორისტების ლიდერსო.

— ამ ამბის გახმაურების მერე ლეიბორისტული პარტიის წევრებმა იჩივლეს პროკურატურაში, ძაგანია ცილს გვწამებსო. აღიძრა საქმე, სიტუაციაში ჩაერთო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. ლეიბორისტებს ჟივილხივილი ჰქონდათ — კახა ძაგანიას დაიჭერენ ცილისწამებისთვისო, მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ შალვას სეხნია შალვა ნათელაშვილი ამტკიცებდა, მე ვაპროცენტებ ფულს, ლეიბორისტების ლიდერი არაფერ შუაშიაო, გამოიძიეს იმ ბატონის საქმიანობა და აღმოჩნდა, რომ თვითონ უმალავდა გადასახადებს სახელმწიფოს და დიდძალი თანხით დააჯარიმეს. ასეა, როცა უღირს ადამიანს დაუდგები მხარდამჭერად და ცრუ მოწმედ, ხიფათში თვითონ ჩავარდები.

ამას იმიტომ გიყვებით, რომ გული მწყდება. ლეიბორისტული პარტია, რომელიც ჩვენი მხრებით მოვიტანეთ წლების მანძილზე, ვიბრძოდით და მართლაც გულწრფელად ვშრომობდით ქართველი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არ ვუშინდებოდით ათასგვარ საფრთხეს, სიცოცხლეს რისკის წინაშე ვაყენებდით, შალვა ნათელაშვილმა ის ნდობა და რეიტინგი, რაც დააგროვა ლეიბორისტულმა პარტიამ სააკაშვილთან და მერაბიშვილთან ალიანსზე და დოლარებზე გადაცვალა. ამ ნდობაში ფულის აღება გადაწყვიტა და დღეს შალვა ნათელაშვილი ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია საქართველოში, ქართველი გლახკაცი კი კვლავ ეკონომიკური სიდუხჭირის უღლის ქვეშ იტანჯება, ამაზე გვწყდება გული, ამას ვერ ვაპატიებთ ნათეკლაშვილს და არც იფიქროს, რომ პრეზიდენტი გახდეს. ჩვენ არგუმენტებით დავუმტკიცებთ საქართველოს მოსახლეობას, რომ შალვა ნათელაშვილი არათუ საპრეზიდენტო, არამედ შრომის პარტიის ლიდერობის ღირსიც არაა. მეტიც, ის მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგეს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მსუბუქი და ჰაეროვანი საახალწლო ტორტი

სადღესასწაულო სუფრას ისე არაფერი ამშვენებს, როგორც ლამაზი და გემრიელი ტორტი. ამასთან, სახლში, ნატურალური პროდუქტებით გამომცხვარ ნუგბარს სრულიად სხვა გემო და არომატი აქვს. ნუ დაიზარებთ და გააოცეთ ოჯახის წევრები და სტუმრები თქვენი კულინარიული შედევრით.

ტორტის ბისკვიტისთვის დაგჭირდებათ:

კვერცხი — 12 ცალი
შაქარი — 12 ს/კ
გაცრილი ფქვილი — 13 ს/კ
ვანილი

ბისკვიტის დასანამი სიროფისთვის დაგჭირდებათ:

შაქარი — 1 ჭიქა
წყალი — 1 ჭიქა
კონიაკი — 1 ს/კ

კრემისთვის დაგჭირდებათ:

რძე- 1,5 ჭიქა
შაქარი — 3 ს/კ
ფქვილი — 3 ს/კ
შესქელებული რძე — 1 ქილა + ნახევარი
კარაქი — 350 გრ

ტორტის მომზადების წესი:

1. კვერცხები გატეხეთ და ცილა და გული გააცალკევეთ. გულები შეინახეთ, ცილები კი მიქსერით ღრუბლისებური კონსისტენციის მასის მიღებამდე თქვიფე თ. თქვეფის შეუჩერებლად, ნელ-ნელა დაუმატეთ შაქარი და ორი-სამი წუთი კიდევ თქვიფე თ. შემდეგ სათითაოდ შეურიეთ კვერცხის გულები. კიდევ დაახლოებით 5 წუთი თქვიფეთ და მიქსერი გამორთეთ. გაცრილ ფქვილში შეურიეთ ვანილი და ათქვეფილ კვერცხს ნელ-ნელა, ხის კოვზით შეურიეთ, ფრთხილად ამოურიეთ და წინასწარ გამზადებულ, ცხიმწასმულ ფორმაში ჩაასხი თ. (ფორმას ძირში ცხიმწასმული საცხობი ქაღალდი უნდა ჰქონდეს ჩაფენილი) ბისკვიტი 100—150 გრადუსზე, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში გამოაცხვეთ.

2. სანამ ბისკვიტი ცხვება, დასანამი სიროფი მოამზადეთ. ქვაბში მოათავსეთ შაქარი, ვანილი, წყალი და კონიაკი. ყველაფერი კარგად აურიეთ, წამოადუღეთ და გააგრილეთ.

3. კრემის მოსამზადებლად, შაქარი და ფქვილი ერთმანეთში აურიეთ. ნელ-ნელა დაამატეთ თბილი რძე და დაბალ ცეცხლზე, შეუჩერებელი მორევით ადუღებამდე მიიყვანეთ. ამის შემდეგ ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგით და კარგად გააცივეთ. კარაქი და შესქელებული რძე კარგად ათქვიფეთ და გაციებული ფაფა დაუმატეთ. კრემი კიდევ რამდენიმე წუთი თქვიფე თ.

3. გაგრილებული ბისკვიტი შუაზე გაჭერით და კარგად დანამეთ. ტორტის ქვედა ნაწილს წაუსვით გამზადებული კრემი და მეორე ნახევარი დააფარეთ. დარჩენილი კრემი კი ტორტის თავზე და გვერდებზე გაანაწილეთ. უგემრიელესი საახალწლო ტორტი მზადაა. მისი გაფორმება თქვენს მონდომებასა და ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

ღმერთო, რომ ხარ ქე ვიცი, რაფერ ვარ, ქი იცი, აბა, შენ იცი!

კიდევ ერთი მძიმე წელი გადავამალანყინწეთ, კიდევ ერთი შიმშილის და სიცივის, სიცხის და ცეცხლის, პლანის და კიდევ პლანის, მკვლელობების და ქურდობების, ციანიდი ვიპოვეთ და ლარის კურსი დავკარგეთ.

კარგები იყვნენ რომაელები – ხალხს სანახაობასა და პურს რომ აძლევდნენ.

მატკინა ეს მშიერი კუჭი ცარიელმა სანახაობამ, პური დაგავიწყდათ, პური...

ხოდა, როგორც გურულებმა თქვეს, ცხოვრება ისე გაძვირდა ამასობაში, საახალწლოდ ტკბილ მოგონებებს გავშლი...

თან ამ ტკბილ მოგონებებს სარკის წინ გავშლი, იმიტომ რომ, როგორც ისევ გურულებმა მასწავლეს, საჭმელს სარკის წინ რომ დებ და ისე ჭამ, მეტი ჩანს...

მძიმე წელი გვქონდა განათლების სამინისტროშიც წელს, ძლივს მოვინელეთ მოუნელებელი ჯეჯელავა, ვერ გავაგებინეთ, რომ ამერიკელ და ქართველ ბავშვს სწავლების ერთნაირი პროცესი არ გამოადგება, აჰა, მაგალითად:

რას ასწავლიან ჩუქჩები ახალფეხადგმულ ბავშვს პირველ რიგში:

– ყვითელი თოვლის ჭამა არ შეიძლება.

ახლა გურიაში იგივე ასაკის ბავშვი ზის ზღვის სანაპიროზე, ჰკითხავენ: – წყალში რატომ არ ჩადიხარო?

– ბიძია ცურვა მე არ ვიცი და ჯერ არც მეფსია და წყალში რა მინდაო...

ეგ რა არის, ქართველი პატარა კი არა, დიდიც განსხვავდება, ბატონო, დიდიც. არ გჯერათ, ახლავე:

ბუში, ბლერი და საკაშვილი ხვდებიან ერთმანეთს. ბუში ამოიღებს ვერცხლის პორტსიგარს, ზედ აწერია: „ შვილ ბუშს მამა ბუშისგან“. ბლერი ამოიღებს ოქროს პორტსიგარს წარწერით: „ბლერს დედა დედოფლისგან“. სააკაშვილი ამოიღებს პლატინის პორტსიგარს 5-კარატიანი ბრილიანტით. წარწერა: „ასლან აბაშიძეს ლუჟკოვისგან“.

ლონდონში კი, ლონდონის ერთ კაფეში, ორი შუახნის ჯენტლმენი სვამს. – ახალი წელი მოდის, კარგია ახალი წელი, – ამბობს ერთი. – სექსი უკეთესი, – პასუხობს მეორე. პირველი: – ხო, მაგრამ ახალი წელი უფრო ხშირადაა.

ახლა ჩვენი წითელლოყება პრეზიდენტი?!

ჩვენი პრეზიდენტის სექსი ისე მდიდრულია, სიტყვა მდიდრულის გაფიქრებას რომ გადაგაფიქრებინებს ადამიანს, სიტყვა მდიდარის გახსენებაზე ჩემი პრეზიდენტის აფაკლული ღაწვები რომ მაგონდება „იმის“ დროს... ეგაა ცხოვრება? სიმდიდრეზე ფიქრსაც არ დაგაცდიან...

სამაგიეროდ, ჩვენ საპრეზიდენტო წყობა არ გვაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ არასოდეს ვიქნებით ნამდვილი მარტოსულები, ნამდვილი მარტოსული ხომ ისაა, ვისაც ღამის 12 საათზე მხოლოდ პრეზიდენტი ულოცავს ტელევიზორიდან ახალ წელს...

წყობაზე გამახსენდა – ამ ჩვენს პირველ ლედის ისე მოსწონს კაბიანი და მაღალქუსლებზე შემდგარი კაცები, რომ აღარ ვიცი, ამ ჩვენს პრეზიდენტს, ქე რო ძალით შევრთეთ ცოლი, პრეზიდენტობის მერე რას უზამს და რას ჩააცმევს, მოვუკვდი მაგას ასი წლის მერეც აღარა...

ისე რა დროს ეგ არის, დასავლეთ საქართველოდან დამირეკეს:

– გეიგე, გოჭი ისე გაეფებულა, სულ რაღაც 5 ლარი ღირსო...

— აუ, ეგ ტყუილი, – ვპასუხობ გაოცებული.

— ტყუილი კია, მარა ხო მაგარი ეფია, გაფიცებ ყოლისფერსო...

იაფია, აბა, რა... ყველაფერი გაეფებულია, აიფონის და ჯიპების ჩათვლით...

მამის საფლავზე ვერ ჩავსულვარ გურიაში და ეს მღვდელმთავრები რომ ააღირებენ თავს და თუ რამე არ მოეწონებათ საკუთარ საპატრიარქოსა და სამწყსოში, დაყრიან ცხვრებს ასე ჯიპების ამარად და აეხეტებიან ამერიკაში საჩივრებით, ვისთან მიეხეტებიან ნეტავი, კათოლიკებთან, სოროსელებთან, იეღოველებთან, პროტესტანტებთან თუ ვისთან?

ესაო, ისაო, ჩვენ ჩვენი საპატრიარქოს გასაჭირზე რომ მოვუყევით, ეგრევე შევუყვარდით ამერიკელებსო...

უეჭველი კათოლიკებთან იყვნენ ეგენი, ან პროტესტანტებთან, ან იეღოველებთან, თორემ ერთ მართლმადიდებელს მეორე მართლმადიდებლის საპატრიარქოს გასაჭირი არ გაეხარდებოდა, არც მამის ჩამშვები უძღები შვილი შეუყვარდებოდა უძღებობისთვის...

ჩავიდა სოფლად მღვდელი, გადმოვიდა მაგარი მანქანიდან, ხელში უჭირავს ბოლო მოდელის აიფონი – შეხედავს გურული:

– შენ, მამაო, მარტო შენთვის რომ ლოცულობ, ზოგჯერ მეც რომ მომიხსენიო, არ გამოვაო?

გამოვა, რავა არ გამოვა, რაც ლოცვამ სასწაულივით ციანიდი მოიტანა – სასწაულივით იმიტო, რომ არის, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, უჩინარი ჯიპიც რავა არ

იქნება სადმე ჩადგმული ეზოს ბოლოს, უჩინარი აიფონიც დარეკავს ახალ წელს უცილობლად...

ქუთეისელებმა შემოგვითვალეს, ამოვიდა ყელში ეს საზამთროსავით პარლამენტი, სხვაც მოგვაშველეთ ცოტაო.

– საზამთროსავით, როგორ?

– მწვანეა, თეთრი ზოლიც აქვს, შიგნიდან კიდე წითელია...

– კურკები?

– კურკები კი ჩამოდიენ თბილისიდან, სიმონ...

ქართველ თოვლის ბაბუას გადმოურეკავს კიდევ კალაძესთან, სხვა ქალაქების მერებს ვერ ვუკავშირდები და იქნება შენ გაავრცელო, ახალი წელი მოდის და ბავშვებმა საჩუქრები იყიდონ, თორემ მეც გავღარიბდიო...

ამინდმაც გვიმტყუნა წელს, იმისთანა გვალვა იყო, იმისთანა...

კახელი, გურული და მეგრელი საუბრობენ:

კახელი: წელს ჩვენთან ისეთი გვალვა იყო, მიწაზე სულ თხრილები გაჩნდა.

გურული: ჩვენთან კიდო, იმფერი გვალვა იყო, ძროხები რძის ფხვნილს იწველებოდნენ...

მეგრელი: ეგ რაა, ჩვენთან იყო გვალვა, თუ იყო, ხეები ძაღლებს მისდევდნენ, მოგვაფსითო...

ხოდა, ამ გვალვამ ჯერ ხომ ტყეები გადაწვა, მერე ფაროსანაც შემოგვასია... მექანიკურად ებრძოლეთო, დაუბარეს ჩემს გურულებს... ვერ დაუმუღამა გურულმა მექანიკურ ბრძოლას და ეკლესიას მიაშურა:

ღმერთო, რომ ხარ ქე ვიცი,
რაფერ ვარ, ქი იცი.
და აბა შენ იცი!

ერთი რამ მახარებს წელს ძალიან: რაც ქართველმა სპორტსმენებმა ოქრო ჩამოიტანეს, ექვთიმე თაყაიშვილის მერე არავის ჩამოუტანია საქართველოში...

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ოთხი რამეა მთავარი ადამიანისთვის: სიყვარული და მეგობრობა, ჯანმრთელობა და სიხარული და ოთხივე დაგაფერთხოთ უფალმა.

თამო კეშელავა
555 46 08 04

გურჯაანის მუნიციპალიტეტის განმარტება

გუშინ ტელეკომპანია „რუსთავი -2“-ის გადაცემა P.S-ში გასულ სიუჟეტში დასახელებული რამდენიმე ფაქტი, რომელიც გურჯაანის მუნიციპალიტეტს ეხებოდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

საკითხები ეხება ქალაქ გურჯაანისა და სოფელ ზიარის დამაკავშირებელ გზასა და მერის მოადგილეების უწინდელ სამუშაო პოზიციებს გურჯაანის გამგეობაში.

პირველი საკითხის განხილვისას, „რუსთავი-2“-ის სიუჟეტის შინაარსში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები, რომლის თაობაზეც მოსახლეობას გვინდა მივაწოდოთ რეალური ინფორმაცია.

2015 წლის სექტემბერში გამოცხადდა ტენდერი სოფელ ზიარისა და ქ. გურჯაანის დამაკავშირებელი გზის რებილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა კომპანიამ: შპს „არქიტრავი-XXI“, ჰიდროგეოდეზიური ცენტრი და შპს „ხალი“. ვაჭრობის შედეგად ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ხალი“, რომლის შეთავაზებული წინადადებაც 22349.00 ლარს შეადგენდა.

როგორც მოგეხსენებათ, საჯარო პროექტების განხორციელებისთვის, თავდაპირველად საჭიროა საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა, მისი წინასწარ მომზადება და დეტალური ხარჯთაღრიცხვის შედგენა, რათა საბიუჯეტო თანხები გეგმაზომიერად და სწორად დაიხარჯოს. შპს „ხალის“ მიერ ტენდერით გათვალისწინებულ ვადებში მოხდა გურჯაანი-ზიარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის შედგენა და წარედგინა დამკვეთს. ინფრასტრუქტურული პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 800 000 ლარი. 121 გვერდიან დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი სარეაბილიტაციო უბნებსადა მონაკვეთებზე ჩასატარებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

2018 წლიდან გურჯაანის მერია გეგმავს დამატებითი თანხების მობილიზებისთვის საჭირო სამუშაოების ჩატარებას, რათა გურჯაანი-ზიარის გზის რეაბილიტაცია უმოკლეს ვადებში განხორციელდეს.

სიუჟეტში გახმაურებული მეორე თემა, რომელიც გურჯაანის მერის მოადგილის წარსულში, ოთხი წლის განმავლობაში, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსად საქმიანობას ეხებოდა, ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. გურჯაანის მერის ორი მოადგილიდან არც ერთი მუშაობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურში.

როგორ მოვიპოვოთ ყვითელი ძაღლის კეთილგანწყობა?

რისი გაკეთება იკრძალება საახალწლო დღეებში

ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს უძველესი დროიდან უამრავი ლეგენდა და მინიშნება უკავშირდება. მარტივი რიტუალების დახმარებით, ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ ნეგატიური მოვლენებისგან თავის დაცვას და იღბალის მოზიდვას. წლებთან ერთად, ბევრი საახალწლო რიტუალი დრესასწაულის განუყოფელი ნაწილი გახდა და დღესმხოლოდ სასიამოვნო ტრადიციად მიგვაჩნია.

ადამიანებს სწამთ, რომ საახალწლო წეს-ჩვეულებების ცოდნით შეიძლება კარიერულ წინსვლას, წარმატებას, სიყვარულს და ფინანსურ კეთილდღეობას მიაღწიონ. ამიტომ, საინტერესოა, ყვითელი ძაღლის წლის რომელ მინიშნებებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ 2018 წელი ბედნიერი და წარმატებული იყოს?

პირველ რიგში, ყვითელი მიწის ძაღლს რომ თავი მოაწონოთ, წინასაახალწლო პერიოდში საგულდაგულოდ უნდა დაგეგმოთ ყველაფერი — სადღესასწაულო კერძებიდან დაწყებული, ფეხსაცმლის ფერით დამთავრებული. გახსოვდეთ, დამდეგ წელს თქვენი წარმატება სწორედ ძაღლის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული.

საახალწლო სამზადისი დეკემბრის შუა რიცხვებიდან უნდა დაიწყოთ. ამ საქმეში პირველი ნაბიჯი სახლის დალაგება და უსარგებლო ნივთებისგან გათავისუფლებაა. სინდისის ქენჯნის გარეშე გათავისუფლდით ყველაფრისგან, რაც არ გჭირდებათ ან უსიამოვნო მოგონებებთანაა დაკავშირებული. უსარგებლო ნივთებისა და ნაგვისგან სახლის გათავისუფლება საშუალებას მოგცემთ, სახლის ენერგეტიკული წმენდა ჩაატაროთ და ახალი ცხოვრებისკენ გზა გაიხსნათ. გახსოვდეთ, სახლის დალაგება 31 დეკემბრამდე უნდა მოასწროთ. ამ დღეს კი უნდა ეცადოთ, რომ არ გადაიღალოთ, თორემ მთელი წელი იგივე განცდა გექნებათ.

არსებობს მინიშნება, რომ 31 დეკემბერს და 1 იანვარს სახლიდან ნაგავი არ უნდა გაიტანოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ყველაფერი საუკეთესო დაკარგოთ, რაც სახლში გაქვთ. საახალწლო სუფრაზე გატეხილი და გაბზარული ჭურჭლის ადგილი არაა — ყვითელ ძაღლს ეს ნამდვილად არ მოეწონება. ეცადეთ, სუფრის გაწყობისას, უპირატესობა თეთრი ფერის ჭურჭელს და ბროლს მიანიჭოთ.

გახსოვდეთ, სადღესასწაულო სუფრა უხვი და მრავალფეროვანი უნდა იყოს, რაც სიუხვის და ფინანსური კეთილდღეობის გარანტია.

მოერიდეთ სადღესასწაულო მენიუში კიბორჩხალებისა და ომარებისგან დამზადებული კერძების შეტანას. ყვითელ ძაღლს აუცილებლად მოეწონება ხორცისა და ბოსტნეულისგან დამზადებული კერძები.

ტრადიციულად, ითვლება, რომ ვის ჭიქაშიც ბოთლში დარჩენილ ღვინოს დაუსხამენ, უბედნიერესი წელი ექნება.

თუ გსურთ, 2018 წელს ფინანსური კეთილდღეობა გქაონდეთ, ახალ წელს ცარიელი ჯიბეებით ნუ შეხვდებით და თუნდაც ხურდა ფული იქონიეთ.

სასურველია, ახალი წლის დადგომამდე, ყველა ვალი გაისტუმროთ, რომ მომავალში ვალის აღება აღარ დაგჭირდეთ.

აეც ფულის გასესხებას გირჩევთ, რადგან ახალი წლის წინა დღეებში ეს მთელი წლის შემოსავალზე საკუთარი ნებით უარის თქმას მოასწავებს.

მოვაჭრობის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის კარგ მინიშნებად ითვლება ახალ წლის პირველ დღეს, პირველი მყიდველისთვის საქონლის დიდი ფასდაკლებით მიცემა. ამით სტაბილურ და შემოსავლიან ვაჭრობას და ფინანსურ საქმეებში წარმატებას უზრუნველყოფთ.

ხალხში დიდი ხანია, ასეთი საახალწლო მინიშნებაც არსებობს: ძველი წლის უკანასკნელ წუთებში ღვინით ან შამპანურით სავსე ბოკალში გარეცხილ მონეტას დებენ. შამპანურს მიირთმევენ, ხოლო მონეტას, რომელიც მთელი წლის ფინანსურ სტაბილურობას უზრუნველყოფს, საფულეში ინახავენ.

თუ გსურთ, რომ მთელი წლის მანძილზე, წარმატება, სიხარული, კეთილდღეობა და ბედნიერება დაგებედოთ, ახალ წელს ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად, მხიარულ კამპანიაში და ოპტიმისტურ განწყობაზე უნდა შეხვდე თ. რისი გაკეთებაც ახალი წლის ღამეს სასტიკად აკრძალულია, ეს ჩხუბი, სკანდალები და ძველი წყენების გახსენებაა. ასეთ შემთხვევაში წყენისა და სიძულვილის მოჯადოვებული წრიდან მთელი წელი ვერ გამოხვალთ.

ახალ წელს რაც უფრო მეტი სტუმარი გეყოლებათ, მით უფრო მხიარული და ხალისიანი იქნება თქვენთვის დამდეგი წელი. თქვენს გვერდით ყოველთვის იქნებიან მეგობრები, რომლებიც მზად იქნებიან, საჭირო მომენტში დახმარების ხელი გამოგიწოდონ.

ზუსტად 12 საათზე, შამპანურის ბოკალით ხელში სურვილის ჩაფიქრება უცვლელი ტრადიციაა, რომელსაც სურვილების ასრულება მოაქვს. გაითვალისწინეთ, რომ ერთი და ყველაზე სასურველი ნატვრა უნდა ჩაიფიქროთ, რომლის ასრულება ყველაზე მეტად გინდათ.

კიდევ ერთი მინიშნება, რომელიც ხშირად ამართლებს – 12 საათამდე 1 წუთით ადრე, სწრაფად გაფცქვენით მანდარინი ან ფორთოხალი და ნაძვის ხის ქვეშ დადეთ. თუ მოასწარით, ბედნიერი წელი გელით.

ყვითელი ძაღლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ახალი წლის ღამეს მოწყალების მთხოვნელებს ტკბილეული და ტანსაცმელი აჩუქეთ, მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოთ, რომ ვერავინ შეგნიშნოთ. ახალი წლის დადგომისთანავე, სახლის კარი და ფანჯრები ფართოდ გააღეთ და იღბალი შემოუშვით.

გახსოვდეთ, თუ გსურთ, რომ 2018 წელს ბედნიერება და იღბალი დაგებედოთ, საკუთარი მიზნებისა და გეგმების შესახებ ხმამაღლა არ ისაუბროთ. ყვითელ ძაღლსუყვარს ადამიანები, რომლებიც „სჯერ ზომავენ და ერთხელ ჭრიან.“

და ბოლოს, 2018 წელი ბედნიერი იქნება თუ:

– თუ 1 იანვრის დილას ძაღლის ყეფამ გაგაღვიძათ.

– თუ ახალი წლის ღამეს ძაღლის ლეკვი დაგესიზმრათ.

– თუ ახალი წლის ღამეს თქვენს სახთან ახლოს ძაღლი შენიშნეთ.

– თუ საახალწლო სუფრაზე შემთხვევით, ჭიქა ან თეფში გაგიტყდათ.

– თუ ახალი წლის პირველ დილას ქუჩაში მამაკაცს შეხვდით.

– თუ უცნობი ადამიანისგან საჩუქარი მიიღეთ.

2018 წელი წარუმატებელი იქნება, თუ:

– 31 დეკემბერს ნაგავს გადაყრით.

– თუ ღარიბი საახალწლო სუფრა გაშალეთ.

– თუ ახალ წელს ძველ ტანსაცმელში შეხვდით.

– თუ საახალწლო სუფრასთან იჩხუბეთ.

თუ 2018 წელს დაქორწინება გსურთ:

– ნუ დაიწყებთ სახლის ლაგებას ახალი წლის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე.

– საახალწლო სუფრის კერძები მარტომ, სხვის დაუხმარებლად მოამზადეთ. კერძების მზადების დროს თითი თუ გაიჭერით, ნიშნობა მალე შედგება.

– ეცადეთ, საახალწლო ზეიმისთვის სხვების თანდასწრებით არ გამოიპრანჭოთ.

– ეცადეთ, სტუმრები სუფრასთან მალე დასვათ. ამას რაც უფრო მალე მოახერხებთ, მით უფრო მალე გათხოვდებით.

ბედნიერ, წარმატებულ, ხვავით, სიკეთით და სიყვარულით სავსე ახალ წელს გისურვებთ.

სალომე სახოკია

ვიცი, ღმერთი მფარველობს საქართველოს!

წმინდა მატრონას დიდი ხატის წინაშე მდგარი ეხმარება ადამიანებს ქალბატონი აზიზა. იგი კარტის, სანთლის და ჭიქა წყლის დახმარებით, ხვალინდელ დღეს აბსოლუტური სიზუსტით წინასწარმეტყველებს. ქალბატონი აზიზა, ნაცნობ-მეგობრების სახელებისა და გვარების დასახელებით, აფრთხილებს მასთან მისულებს, როგორ უნდა შეხვდნენ ბედნიერებას და უბედობას:

„— 30 წლის განმავლობაში ვეხმარები ხალხს და ჩემი ნათქვამის 100%-დან თითქმის 90 სრულდება ისე, როგორც მე ვწინასწარმეტყველებ.

თვითონ ვგრძნობ, თან კარტი, სანთლის ალი და ჭიქა წყალი მეხმარება, გავიგო, რა მდგომარეობაშია ადამიანის სული, გული და გონება. ვასახელებ კონკრეტული ადამიანის ირგვლივ განვითარებული მოვლენების მონაწილე უცხო ადამიანების სახელებს, თითქოს ვიღაც მეჯმარებას ღმერთის გარდა ვერავინ შეძლებდა და მე რატომ უნდა მომეტყუებინა?!

წლების წინ კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი მესტუმრა. მომავლის გაგება სურდა. მაშინვე მივხვდი, სასიკვდილო ჯადო ჰქონდა გაკეთებული. განგებამ ის თავისი ფეხით მოიყვანა ჩემთან. მიხარია, რომ ის ადამიანი, დღეს, ჩემი ლოცვების წყალობით, ცოცხალია, ჯანმრთელი, უცხოეთში ცხოვრობს და წარმატებული ბიზნესმენია.

ჩვენ დღემდე ვმეგობრობთ. ხშირად მეკონტაქტება, რჩევებს ვაძლევ და ვეხმარები.

ჩემთან მოსული ადამიანები და მე გარკვეული დროის მერე უკვე ოჯახებით ვმეგობრობთ. მე არ ვკარგავ კეთილშობილ ადამიანებს.

უამრავი მოდის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მიკავშირდებიან საზღვარგარეთიდანაც ინტერნეტის საშუალებით, უცხოეთში ძირითადად, სკაიპით ვმუშაობ. ყველას ვეხმარები. მადლობა ღმერთს ამისთვის.

—ალბათ, ბევრი მოგმართავთ ჯადოთი, ავადმყოფობით, ათასგვარი პრობლემით შეწუხებული. ამ უარყოფითი ემოციებისა და ენერგეტიკისაგან თავს როგორ იცავთ?

— დიახ. ძალიან მძიმე პრობლემებით მოდიან ადამიანები, ყოველ დღე საშინელ ისტორიებს ვისმენ, თუმცა ლოცვა, საკმეველი, ნაკურთხი წყალი მიხსნის მხრებიდან და გულიდან იმ სიმძიმეს, რაც მთელი დღის განმავლობაში გროვდება ჩემში და ჩემს ირგვლივ.

სვეტიცხოველი ჩემთვის არის უწმინდესი ადგილი მთელ საქართველოში, როცა ძალიან მიჭირს, მეც ადამიანი ვარ (იცინის.), მივდივარ სვეტიცხოველში, ვანთებ სანთლებს და ზუსტად ვიცი, რასაც ღმერთს შევთხოვ, აუცილებლად შემისრულებს.

მე ეკლესიურად ვმუშაობ. თუ ვინმეს ჩემი ლოცვებით და თილისმებით დახმარება სჭირდება, უნდა მომიტანოს ნაკურთხი სანთელი, ნაკურთხი წყალი, საკმეველი, ეკლესიაში აუცილებლად უნდა დაანთოს სანთელი, შესწიროს ტაძარს შესაწირი, რისი საშუალებაც აქვს და მერე შეეწევა ჩემი ლოცვა.

შავ მაგიაზე თბილისში ბევრი მუშაობს, მაგრამ უნდა გავაფრთხილო ყველა — ვინც შავი მაგიით ცდილობს საქმეების აწყობას, ეს დროებითია, ასეთ ადამიანს გარკვეული ხნის შემდეგ აუცილებლად დაატყდება თავს უბედურება.

— საუბარში თქვენ მითხარით, რომ 30 წელიწადია, ამ საქმეს მისდევთ. როგორია ტენდენცია. ადრე რაზე მოგმართავდნენ და ახლა უფრო მეტად რა აწუხებს ხალხს?

— ძირითადად მოდიან ჯანმრთელობაზე, ბარაქაზე, გათვალვისგან გათავისუფლებაზე, ჯადოს მოხსნაზე, უამრავი ქალი მოდის პირადი პრობლემებით. კაცები შეიცვალნენ, ჩემო კარგო. ნამდვილი მამაკაცი ძნელი საპოვნელი გახდა.

ჩემთან მთავრობის წარმომადგენლებიც მოდიან, ბიზნესმენები, საქმიანი ადამიანები. მათ, ცხადია, აინტერესებთ, კვლავ დარჩებიან თუ არა ძველ პოსტებზე, შეინარჩუნებენ თუ არა ფულს, ძალაუფლებას და გავლენებს.

საქმე რაშია, იცით, ყველაფერი ღმერთის ნებაა. მე ვიცი, რაც უნდა მოხდეს, კარგიც და ცუდიც, ღვთის გარეშე არ იქნება.

სწორედ ღმერთი მფარველობს ჩვენს საქართველოს. რამდენმა მძიმე პერიოდმა გაიარა ჩვენს თვალწინ, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, საქართველო და ქართველი ხალხი გადარჩება.

— ახალი წელი მოდის. რას ურჩევთ ადამიანებს?

— ყველას ვულოცავ ახალ წელს. ხვავი, ბარაქა არ მოაკლდეს თქვენს ოჯახებს. სიკეთეს და სიყვარულს დაესადგურებინოს თქვენს გულებში.

რაც შეეხება რჩევას, ყველას ვურჩევ და ვთხოვ — იყავით უფრო კეთილი, ერთმანეთს გაუგეთ, დაივიწყეთ შურისძიება, ეცადეთ, სიყვარულში იცხოვროთ. ისედაც ცოტა ვართ და ნუ ვემტერებით ერთმანეთს. ბოღმა, ბოროტი განზრახვები, ცუდი განწყობა და განცდები ჯანმრთელობასაც აყენებს ზიანს. გაუფრთხილდით საკუთარ თავს და ერთმანეთს.

ქალბატონ აზიზას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონზე — 599 58 78 16.

ანა კეკელიძე

„საერთო გაზეთის“ ჟურნალისტს მანანა სუხიშვილს გარდაეცვალა დეიდა
ემთერ იოსებიძე
რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს
გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

დოდო (დარეჯან) ვადაჭკორია-ხიმშიაშვილი

ქართველი მწერლები, ფართო სალიტერატურო საზოგადოება ძალზე დაამწუხრა ცნობამ ცნობილი ქართველი საბავშვო მწერალი ქალბატონის **დოდო (დარეჯან) ალექსანდრეს ასული ვადაჭკორია-ხიმშიაშვილის** გარდაცვალების შესახებ.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეული შემოქმედი, რომელიც თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მუდამ ქართველი მოზარდების ზნეკეთილ, ზნემაღალ, ქედუხრელ, სამშობლოს ერთგულ პატრიოტებად ფორმირებას ემსახურებოდა.

დოდო ვადაჭკორია დაიბადა 1923 წლის 15 ივნისს. 1941 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1946 წელს დაასრულა. მას შემდეგ სადაც არ უნდა ემუშავა დოდო ვადაჭკორიას, იგი ყველან საოცარი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, ყველგან სიკეთესა და სათნოებას ასხივებდა...

დოდო ვადაჭკორიას ლიტერატურული დებიუტი 1950 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მისი პირველი საბავშვო მოთხრობა „ჭრელი ხელთათმანი“. მას შემდეგ ლამის შვიდმა ათეულმა წელმა განვლო და ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ამ მშვენიერი ქალბატონის სახით ქართულ საბავშვო მწერლობას ერთ-ერთი გამორჩეული წინამძღოლი ჰყავდა.

დოდო ვადაჭკორიას საბავშვო პროზაული კრებულები, ისეთები, როგორიცაა „უცნაური დედობილი“, „ვინ მივა პირველი საქართველოში“, „დედის ლოცვა“, „ჩემი სოფელი“, „ვარსკვლავები საჩუქრად“, „ბროლის ციგა“, „კენკრა ტკბილია“, „ერთი კალთა სიყვარული“ შეიყვარეს პატარებმა, შეიყვარეს დიდი ადამიანური სიმართლისთვის, სისადავისთვის, იმ იდეალების ერთგულებისათვის, რომლებსაც საქართველოს სიყვარული, ვაჟკაცობა, მოყვასის გატანა და სათნოება ჰქვია. არ შეიძლება სულით ხორცამდე არ შეძრას მკითხველი დოდო ვადაჭკორიას მოთხრობების პრობლემატიკამ, თუნდაც უცხოეთში ბედისწერისაგან გარიყული პატარა ქართველების სევდამ და კაეშანმა, რომლებსაც ძილშიაც კი საქართველო და მათი დიდებული წინაპრების სახელი აბოდებთ...

დოდო ვადაჭკორიას საუკეთესო ნაწარმოებები თარგმნილია სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე. თავადაც ჩინებული მთარგმნელი იყო და ქართულად აამეტყველა შვედური და უკრაინული ზღაპრები, აზერბაიჯანული მოთხრობები: ვალერი მედვედევის „ვოვა ვესნუშკინი“, „ბარანკინის 36 ფათერაკი“, „ბარანკინი — კოსმონავტი“, „ბარანკინის ფანტაზიები“, ხალიდა ხასილოვას „უჩინარი მხედარი“...

თბილისის თოჯინების თეატრში წარმატებით დაიდგა დოდო ვადაჭკორიას პიესა „ბროლის ციგა“. მან საინტერესო წერილები მიუძღვნა გიორგი შატბერაშვილის, რევაზ ჯაფარიძის, ქეთევან ჭილაშვილის, ქიშვარდ ისაკაძის შემოქმედებას.

დოდო ვადაჭკორიას საზოგადოებრივი მოღვაწეობაც მთლიანად მოზარდებთან იყო დაკავშირებული. იგი წლების განმავლობაში არჩეული იყო მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის ბიუროს წევრად, ჟურნალ „ნაკადულის“ სარედაქციო საბჭოს წევრად. იყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საქართველოს ისტორიის წრის პედაგოგი და უშურველად იღვწოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისთვის.

ჩვენ, ამ მშვენიერი ქალბატონის კოლეგები, მოხიბლული ვიყავით მისი პიროვნული ღირსებებით — შინაგანი ხიბლით, სათნოებით, უბრალოებით, მოხიბლულნი ვიყავით იმითაც, თუ რა საოცარი ერთგულებით ეფერებოდა საბჭოთა იმპერიისაგან უღვთოდ განწირული ძმის — უნიჭიერესი მწერლის კოტე ხიმშიაშვილის ხსოვნას, რომელიც სამშობლო ქვეყნის თავისუფლების წმიდათაწმიდა იდეალებს შეეწირა.

დოდო ვადაჭკორიას ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა ნებისმიერი საბავშვო მწერლისათვის სანუკვარი შიო მღვიმელის პრემია. დაჯილდოებული იყო ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი — ღირსების ორდენით, ღირსეულად ატარებდა „ქართული კულტურის ამაგდარის“ საპატიო წოდებას.

წავიდა ჩვენგან მშვენიერი მწერალი და მოღვაწე, დიდ ქართველ ბანოვანთა შთამომავალი, რომლის ხსოვნაც დიდხანს, ძალიან დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და თაყვანისმცემლების გულში.

საქართველოს
მწერალთა კავშირი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საახალწლო პერსონაჟები

ხიზირ-ილიასი

ახალი წელი ჩვენთვის წარმოუდგენელია თოვლის პაპის თუ ბაბუის, ინგლისურენოვანი ქვეყნები – სანტა კლაუსის და მისი ირმის რუდოლფის, ფინეთი კი იოლიპუკის გარეშე. სხვა ქვეყნებში საახალწლო საჩუქრები სხვა საახალწლო პერსონაჟებს მოაქვთ პატარებისთვის და... დიდებისთვისაც...

ბაბუა მიკულაში და ბაბუა ეჟიჩეკი

ყველაზე ადრე საშობაო საჩუქრებს ჩეხი და სლოვაკი ბავშვები იღებენ. ბაბუა მიკულაში სტუმრად 5 დეკემბრის ღამეს მოდის, წმ. ნიკოლოზის დღის გათენებამდე. ცნობილია, რომ მას გრძელი, წითელი მოსასხამი აცვია, თავზე მაღალი ქუდი ახურავს და ხელში კვერთხი უჭირავს, ხოლო საჩუქრებით სავსე ტომრის ნაცვლად ზურგზე ყუთი აქვს მოკიდებული. ითვლება, რომ ამ კეთილ ჯადოქარს მოგზაურობაში თან ახლავს ფრთათეთრი ანგელოზი და გაბურძგნილი ეშმაკი. ისინი კარნახობენ მოხუცს, რომელი ბავშვი იქცეოდა კარგად და ვინ დაიმსახურა საჩუქარი. პატარებმა კარგად იციან, რომ თუ წმინდა მიკულაშს სიმღერას უმღერებენ ან ლექსს ეტყვიან, კეთილი მოხუცი მათ საჩუქარს მაინც მიუტანს, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად იქცეოდნენ.

მეორე თოვლის ბაბუაა ეჟიჩეკი, რომელიც სტუმრად 25 დეკემბერს მიდის. მის შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან არავის უნახავს. ერთი ლეგენდის თანახმად, იგი მიკულაშის ძმაა. ეჟიჩეკი ცდილობს, რომ ვერავინ დაინახოს, როცა საჩუქრებს ტოვებს. მხოლოდ ზანზალაკების ხმა ამცნობს ადამიანებს მის მობრძანებას.

ბაბო ნატალე და ფერია ბეფანა

იტალიაში, ისევე, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, ორი თოვლის ბაბუაა, რომელთაგან ერთი შობაზე მობრძანდება, მეორე კი – 6 იანვარს. ახალ წელს იტალიაში დიდი ზარ-ზეიმით არ აღნიშნავენ, არც საჩუქრებს ჩუქნიან, მიღებულია სტუმრად სუფთა წყლის მიტანა.

იტალიელ თოვლის ბაბუას ბაბო ნატალე ჰქვია, რაც საშობაო მამას ნიშნავს. მისი წარმოშობის შესახებ ორი ლეგენდა არსებობს. ერთის მიხედვით, ის წმიდა ნიკოლოზთან არის დაკავშირებული, რომელიც ჩვ.წ. აღ-მდე III ს-ში ცხოვრობდა.

მეორე ვერსიის თანახმად, საშობაო ზღაპრული ჯადოქარი ამერიკელებისგან არის ნასესხები. იგი მართლაც ცოტათი თუ განსხვავდება სანტა კლაუსისგან – ისიც ჩასუქებული ასაკოვანი მამაკაცია, რომელსაც თეთრი ბეწვით გაწყობილი წითელი სამოსი აცვია, აქვს ჭაღარა წვერი და ზოგჯერ სათვალესაც ატარებს. ბაბო ნატალეც სანტა კლაუსის მსგავსად ჰაერში მოგზაურობს მარხილით, რომელშიც ირმებია შებმული და სახლებში საკვამურიდან ჩადის.

მილუკაში

ბობო ნატალე და ფერია ბეფანა

იტალიელი თოვლის ბაბუა მხოლოდ იმ ბავშვებთან მიდის, ვინც წინასწარ დაუწერა მას წერილი საკუთარი სურვილის შესახებ – ამისათვის ქუჩებსა და მაღაზიებში სპეციალურ საფოსტო ყუთებს დგამენ წერილებისთვის.

6 იანვარს კი ბავშვები სტუმრად ფერია ბეფანას ელიან. იგი გამოსახულია, როგორც ცოცხზე გადამჯდარი მოხუცი ქალი მოკაუჭებული ცხვირითა და დიდი კბილებით. ზურგზე მას საჩუქრებით სავსე ტომარა აქვს მოკიდებული. ლეგენდის მიხედვით, იგი სახლში საკვამურიდან შედის. სხვა გადმოცემის თანახმად კი, მას პატარა ოქროს გასაღები აქვს, რომლითაც ყველა კარის გაღება შეუძლია.

მელქიორი, ბალთასარი, გასპარი და ოლენცერო

ესპანელ ბავშვებთან სტუმრად ახალ წელს თოვლის ბაბუის ნაცვლად სამი მეფე მოდის, რომლებსაც ჩვენ მოგვებს ვუწოდებთ – ბიბლიაში აღწერილი სამი ყველაზე უძველესი პერსონაჟი.

6 იანვარს, სამი მეფის დღის წინა საღამოს მთელ ესპანეთში სადღესასწაულო სვლა იმართება, რომლის დასასრულსაც სამივე მეფე (მელქიორი, ბალთასარი და გასპარი) ამბობს, რომ საჩუქარს ყველა ბავშვი მიიღებს. ამის შემდეგ მიათთვის განკუთვნილ ტახტზე სხდებიან, რომლებიც ქალაქის ცენტრშია განთავსებული და ყველა ბავშვს საჩუქარს ჩუქნიან.

ამ დროს, ბასკეთში, ნავარას პროვინციაში დამჯერ ბავშვებს საჩუქრებს ადგილობრივი თოვლის ბაბუა ოლენცერო ჩუქნის. ერთი ლეგენდის მიხედვით, ის გოლიათების შთამომავალია და მან პირველმა ამცნო ადამიანებს იესოს დაბადება.

მეორე ლეგენდის მიხედვით კი ოლენცერო ფერიამ იპოვა და მოხუცე წყვილს მიუყვანა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მან ბავშვებისთვის სათამაშოების კეთება დაიწყო, რათა გაეხარებინა ისინი. იგი ხანძრის დროს დაიღუპა, როდესაც ბავშვები გამოჰყავდა ცეცხლიდან და ფერიამ მას მერე სიცოცხლე აჩუქა. ამ შავწვერა კეთილ მსუქანას გემრიელი საჭმელები უყვარს და არასოდეს ამბობს უარს ჭიქა ღვინოზე.

საგაცუ-სან

იოლასვეინარები

ისლანდიელი იოლასვეინარებს არაფერი აქვთ საერთო თოვლის პაპასთან და სანტა კლაუსთან. ლეგენდის მიხედვით, გოლიათ გრილასა და უსაქმურ ლეპალუდის 13 ვაჟიშვილი გაუჩნდათ, რაც საშობაო ძმებს ან საშობაო ბიჭებს ნიშნავს.

ლეგენდის მიხედვით, დედილო გრილის ვაჟების შობამდე, 12 დეკემბერს გაჩნდნენ და ყველაფერს აფუჭებდნენ, აურზაურს აწყობდნენ, ყირაზე გადადიოდნენ და ზოგჯერ ბავშვებსაც იტაცებდნენ. მათი შიშით ყველა ისლანდიელი ბავშვი კარგად იქცეოდა.

დროთა განმავლობაში იოლასვეინიარების გარეგნობა შეიცვალა და ახლა ეს კეთილი გნომები დამჯერ ბავშვებს ფეხსაცმელებში ერთს კი არა, ცამეტ საჩუქარს უტოვებენ, ურჩი ბავშვები კი საჩუქრად კარტოფილს ან კენჭს იღებენ.

საგაცუ-სანი და ოძი-სანი

იაპონიაში ახალ წელს გრიგორიანული კალენდრით აღნიშნავენ, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანაში 1873 წელს მიიღეს, თუმცა ტრადიციულად, იაპონური ახალი წელი ჩინურს ემთხვევა და 21 იანვრიდან 21 თებერვლის პერიოდს მოიცავს. იაპონელებს ახალი წლის მოსვლას ზარის 108 დარეკვა ამცნობს.

საგაცუ-სანს ან ბატონ ახალ წელს მწვანე ან ცისფერი კიმონო აცვია. ლეგენდის თანახმად, იგი საკუთარ სახლს ტოვებს ქალაქ შიოგამაში, კუნძულ ჰონსიუზე და იაპონიაში მოგზაურობას იწყებს. საგაცუ-სანი საჩუქრებს არ ჩუქნის, იგი უბრალოდ ყველას ულოცავს ახალ წელს.

იაპონელების რწმენით, 31 დეკემბერსა და 1 იანვარს იაპონიის მცხოვრებლებს ბედნიერების შვიდი ღმერთი სტუმრობს, რომლებიც აქ ჯადოსნური ხომალდით მოდიან.

მეორე თოვლის ბაბუა, ოძი-სანი, შედარებით „ახალგაზრდაა“. იგი სანტა კლაუსის იაპონური ვარიანტია. ოძი-სანი ზღვით მოგზაურობს და კუნძულების ყველა მცხოვრებისთვის მოაქვს საჩუქრები. პატარა იაპონელები სწორედ ოძი-სანს წერენ წერილებს თავიანთი სურვილების შესახებ.

ხიზირ-ილიასი

მუსულმანურ ქვეყნებში ერთდრულად ორ ახალ წელს აღნიშნავენ. პირველი აღინიშნება მუხარამის პირველ დღეს, მაგრამ, რადგან ისლამურ ქვეყნებში მთვარის კალენდარს იყენებენ, დღესასწაული 11 დღით წინ გადადის. მეორეს ჰედერლეზი ჰქვია და მესაქონლეობის ახალი წლის სიმბოლოა (აღინიშნება გრიგორიანული კალენდრით 6 მაისს). თოვლის ბაბუას აქ ხიზირ ილიასი ჰქვია და კეთილი და მორწმუნე ადამიანების სახლებში მიდის მაისის დასაწყისში. ჩვეულებრივად მას გამოსახავენ, როგორც ჭაღარაწვერიან მოხუცს, მწვანე მოქარგული ხალათით შემოსილს, თავზე წითელი ტურბანით და საჩუქრებით სავსე ტომრით.

სინამდვილეში ხიზირი და ილიასი ორი წინასწარმეტყველია. თათრული თქმულების მიხედვით, ხიზირმა უკვდავების წყალი დალია და უკვდავება მოიპოვა. იგი დედამიწაზე მოგზაურობს და გაჭირვებულებს ეხმარება, ხოლო ხარბ ადამიანებს კი სჯის.

სხვა ლეგენდის მიხედვით კი ხიზირი და ილიასი ძმები არიან, რომლებიც წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხვდებიან, რათა დედამიწაზე გაზაფხული დააბრუნონ.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com